645
1980

67

# საქართველოს ქალი

ივლისი
№ 7 1980 წ.

ISSN 0321-1509

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ფოტო დ. იაქობაშვილის

# იოსებ გრიშაშვილი—90

## დავბერდი? არა!

ცხოვრებისაგან წვალწვალებული
მე შენს სიყვარულს ჩამოვეკიდე.
გამარჯვებული, გალაღებული
მიყვარხარ კიდევ!

დავბერდი? არა! ლექსების ფერებს
დაჰკრავს სურნელი საუკეთესო,
ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს,
სულზე უტკბესო!

ვინ დააწყნარებს მეტეხის მორევს?
ვინ შეაჩერებს ლექსს ნიავქარულს?
მტკვარში ცოცხალ თევზს ვერვინ გამოლევს,
გულში — სიყვარულს.

და თუ ხანდახან ფშატის ხესავით
ვერცხლის ჭაღარას მეც შევერევი,
გწამდეს, შენს თვალებს დაუკვნესავი
ვერ შევეღლევი.

დავბერდი? არა! ლექსების ფერებს
დაჰკრავს სურნელი საუკეთესო,
ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს,
სულზე უტკბესო!

1940 წ.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ვადიდოთ შრომა ქალისა!

ჩვენი სტუმარია თერჯოლის რაიონი



16.429

## ნელ-ნელა მოვიდა დიდება

ბავშვები საფარეთში დაიბადნენ — ზემოთ, მთაზე შეფენილ სოფელში. ლამარა აბულაძე იქ გახდა დედა... გულში ყველაზე დიდი ადგილიც საფარეთს დაუთმო, რადგან ხუთი შვილი იქ წამოზარდა. ზემო სიმონეთი მისი დედულეთია, საფარეთმა დაჯაბნა სიმონეთი.

და როცა ჭერმა და იატაკმა ისინი ვერ დაიტია, ჩამოვიდნენ მთიდან და ძევრში იფიქრეს დასახლება. დიდი სოფელი მათ თავისი საუცხოო წყაროებით, გამჭვირვალე ჰაერით და უხვად დატვირთული ხეხილის ბაღებით შეეგება.

სამოსახლო შეფერდებულ ადგილზე მიუზომეს. ოთხი წელი აგური აგურზე ადეს და ცამეტთვლიანი ორსართულიანი ოდაც წამოიჭიმა.

გაზაფხული უხაროდა ლამარას. ამ დროს თეთრად და ვარდისფრად გადაიპენტებოდა ხეები. საოცარი სიმწვანით აღაღანდებოდა ველი. შიგადაშიგ გვირილები ამოყელყელავდებოდნენ. ცოლ-ქმარი უკანასკნელ ოფლს რომ მოიწმენდდნენ სამუშაოზე, შემონახული ჯანითა და შრომის წადილით, შინ ბრუნდებოდნენ, ჭალაში დაკრეფილ ბალახს უყრიდნენ ძროხებს, გადმოდენიდნენ ღორებს, ინდაურებს, ქათმებს, წყალს დაუდგამდნენ სპილენძის ჯამით, ბავშვებს კერძს შეაჭმევდნენ და გვიან ღამემდე, მთვარის შუქზე სიცილ-ბედნიერებაში მაღლდებოდა სახლის კედლები.

ლამარას რომ ჰკითხოთ, ჩაიმ შეაძლებინა ყოველივე, შვილებიც ჩაიში შრომით დაზარდა და სახლიც ჩაის შემოსავლით ააშენა. მართალია, პროფესიით ექთანია, მაგრამ ობლობაში გაზრდილს ამ ბუჩქებთან უხდებოდა დგომა და მერეც კოლმეურნეობაში შრომა არჩია.

თერჯოლის ჩაი ხომ ტყიბულის განთქმული ჩაის შემდეგ საქართველოში მეორეა გემოთი და სურნელებით. ლამარა აბულაძე 95 პროცენტ პირველი ხარისხის ჩაის კრეფს. მისი წლიური გეგმა და ვალდებულება ყოველთვის დიდი გადაჭარბებით სრულდება. 3 ჰექტარი ჩაის პლანტაცია თვალისჩინივით აქვთ მოვლილი და წლეულსაც 1 ტონა და 200 კილოგრამის ნაცვლად 6 ტონა ფოთოლს მოიწევს. მისი მეათე ხუთწლედი მაისში შესრულდა და მეთერთმეტე ხუთწლედი ჩამოდგა ბუჩქებთან.

ნელ-ნელა მოვიდა მასთან შრომით მოპოვებული დაფასება — მედალი „შრომითი მამაცობისათვის“, შრომის წითელი დროშის ორდენი, ავტომანქანა „ჟიგული“.

1980 წელი ბედნიერი გათენდა. ლამარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ძევრელებს სურვილს აუსრულებს დეპუტატი — მოაწყობს შიდა სასოფლო გზებს, სასმელ წყალს გამოუყვანს, ხალხის დიდ ნდობას გაამართლებს.



ია ყვავაძე

## ია

სოფელ თეზის საშუალო სკოლაში ერთი ლამაზი გოგო დადიოდა... ყოველ დილას, წიგნებთან ერთად მიჰქონდა ფიქრი, რა ეკეთებინა სკოლას რომ დაამთავრებდა, როგორ გამოადგებოდა ქვეყანას. ჯერ კიდევ არ იცოდა, რა გზას დადგომოდა, რომ გაზეთში მე-18 პლენუმის მასალებს გაეცნო. ამ გაზეთს რამდენიმე დღე ინტერესით კითხულობდა მამა.

— აი თურმე სად ვყოფილვარ საჭირო, — გაიფიქრა და გადაწყვეტილება მშობლებს გაანდო.

ია ყვავაძემ სკოლა რომ დაამთავრა, თეზის მეღორეობის ფერმაში მივიდა მწყემს-მომვლელად. შეუდგა მუშაობას. იცოდა, რომ ძნელ საქმეს მოჰკიდა ხელი და არ უნდოდა შერცხვენილიყო.

მართლაც, პირნათლად შეასრულა გეგმები და ნაკისრი ვალდებულებები, თანდათან დასტატდა საქმეში. წლეულს უკვე 8 დედა ღორი ჰყავს მოსავლელი და დიდი მონდომებით უვლის. წარმატებაც მოიპოვა. 1980 წელს 70 ცენტნერი ხორცი და 116 გოჭი უნდა მიიღოს. შრომა არ იკარგება. მისი დიდი მონდომება ადრე შენიშნეს კოლმეურნეობაში. ამიტომაც დააფასეს და სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს.



ცაცა ბოგვერაძე

## გონიერება შრომაში

აი რას წერს სოფელ ეწერის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ვერულაშვილი ცაცა ბოგვერაძეზე:

„სამაგალითო შრომისათვის დაჯილდოვებულია ორდენითა და მედლებით.

1979 წელს შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო.

ორჯერ — შრომის დიდების ორდენით დააჯილდოვეს და აგრეთვე მედლებით.

ცაცა ბოგვერაძე თანამედროვე სოფლის შვილია. იგი მხოლოდ ფიზიკურად როდი შრომობს, მისი შედეგები ნაფიქრია, გონების, აზრისა და შემოქმედების ნაყოფია.

სხვაგვარად როგორ შეიძლება 1 675 კგ ჩაის ნაცვლად 0,24 ჰექტარზე 7 025 კგ ჩაი მოკრიფო და გეგმა 419 პროცენტით შეასრულო! ადამიანი უტყვი მანქანა ხომ არ არის, მოაზროვნე, გონიერი, შემოქმედი პიროვნებაა. შარშან ცაცას 2000 კილოგრამი ჩაი უნდა მოეკრიფა. მან კი 8 282 კილოგრამი მოკრიფა.

გასაგებია, თუ რას ნიშნავს გონიერება შრომაში!



ჟუჟუნა კეზევაძე

## ახლა მისთვის მეთერთმეტე ხუთწლედია

ადამიანმა დაჯაბნა წლები — შეუბრალებლად ზუსტი აღმრიცხველი დროისა. ადამიანმა წლებზე გაიმარჯვა და წინ გაუსწრო. ასე ითქმის ჟუჟუნა კეზევაძეზეც.

დაიბადა სოფელ ჩხარში. უპარტიოა. შრომითი საქმიანობა 1959 წელს დაიწყო სოფელ ქვემო სიმონეთის კოლმეურნეობაში.

ის თავისი თავის წინაშე ყოველთვის პირნათელი რჩებოდა. არ შეეძლო საქმეში გულის ნაწილი არ ჩაედო, არ ჩაექსოვა.

მეაბრეშუმეობაშიც, მებოსტნეობაშიც, სიმინდის მოყვანაშიც, ყოველთვის ორმაგად ასრულებდა გეგმებს.

აი მაგალითი:

ბოლო წლებში 205,4 პროცენტით შეასრულა ბოსტნეულის ჩაბარების გეგმა, 268 პროცენტით — აბრეშუმის პარკისა; კვლავ მნიშვნელოვნად გადააჭარბა სიმინდის მოსავლის გეგმას.

ჟუჟუნა კეზევაძე 1980 წელში ცხოვრობს, მაგრამ 1981 წლის ანგარიშით მუშაობს. ის ყოველთვის გამარჯვებული გამოდის სოციალისტურ შეჯიბრებაში, მის მკერდს მუდამ ამშვენებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშანი.



ვენერა რობაქიძე

# ვაზის სიყვარული

ზემო იმერეთში ვაზი ყველაზე მეტად ფასობს. ვისაც ვაზი უყვარს, მისი ყადრიც იცის და მისი საიდუმლოებაც ესმის, მას ოჯახიც ეყვარება, მეგობრებიც, მეზობლებიც და სოფელიც.

ვაზის სიყვარულით შექმნეს ოჯახი ვენერა და გრიგოლ რობაქიძეებმა. ისინი ერთად დადიან ზვრებში. გრიგოლი ბრიგადირია, ვენერა — ბრიგადის წევრი. მუშაობაში ცოლი ემორჩილება ქმარს, როგორც ხელმძღვანელს.

ვენერა ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმასაც და ვალდებულებასაც. მას ჰექტარზე 165-170 ცენტნერი ყურძენი მოჰყავს. საუცხოო სანახავია ვენერას მსხმოიარე და არამსხმოიარე ფართობები. არც სიმინდის და აბრეშუმის პარკის მოვლისას შეურცხვენია პირი. ამის აღიარებაა „საპატიო ნიშნის" ორდენი, მედალი „შრომითი მამაცობისათვის", ფასიანი საჩუქრები და სიგელები.

ბრიგადირი გრიგოლ რობაქიძე ხანდახან გაეხუმრება ხოლმე ცოლს: ხელხვავიანი რომ არ შემხვედროდი, ალბათ ვერც გიგუებდიო.

თვითონ გრიგოლი, ომგადახდილი და ბრძოლებში გამოწრთობილი ვეტერანი, შრომაში თავს როგორ შეირცხვენს: მისი ბრიგადის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 100 — 110 — 115 ცენტნერია. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული აკი წაახალისეს კიდეც და ურიგოდ ჩამოუყენეს ეზოში ავტომანქანა „ვოლგა". ასე შევიდა მათ ოჯახში საჩუქრად მაცივარი და რადიოლა. სტიმული ამხნევებს, შრომაში ამამაცებს რობაქიძეებს.



ნუცა ჩუბინიძე

# კარგი ჰქენი, გზად დადევი

თუ წყლის დასალევად ეზოს მიუახლოვდებით, ლამაზი ასაკოვანი ქალი მკვირცხლად ჩამოირბენს კიბეებს და გულღია მასპინძლობით დაგიყოლიებთ, შინნახად არაყს შემოგთავაზებთ.

ჭა ჭიშკართან არის, ნახევრად შუკაში გადის და ნახევრად ეზოს ალამაზებს. ცივი და კამკამაა ჭის წყალი, მაგრამ ნუცა ჩუბინიძის გულმხურვალებას ვერ გაექცევით და ძალაუნებურად დიასახლისს დანებდებით.

ნუცა სტუმართმოყვარე, კაცთმოყვარე, მეზობლისა და ყველა გამვლელ-გამომვლელის გამკითხავია.

მისი შრომა კოლექტივიზაციის დღიდან დაიწყო. ომის დროს ბრიგადირი იყო და შინიდან წასული ქმრის მაგივრადაც შრომობდა.

ომის მერე კიდევ უფრო გაითქვა სახელი. ქვედა სიმონეთში ნუცასნაირი მეაბრეშუმე არ ჰყავდათ, თუმცა მარტო სოფელში კი არა, რაიონშიც იყო პირველი, ამიტომაც დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. გავიდა წლები და შრომის წითელი დროშის ორდენითაც დაიმშვენა მკერდი. ყოველ წელიწადს პარკის სარეკორდო მოსავალს აბარებდა. რაიკომის ბიუროს წევრად რომ აირჩიეს, მეტი პასუხისმგებლობა იგრძნო. შარშან 35 გრ. მურიდან 82 კილოგრამის ნაცვლად 217 კილოგრამი პარკი ჩააბარა და გეგმა 264 პროცენტით შეასრულა.

ნუცა რაიონში ახალგაზრდობის დამრიგებლად ითვლება და აბრეშუმით გატაცებულ ყველა ქალს ეხმარება სიახლეთა დანერგვაში.

მის მეუღლეს, საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანსა და დიდად ნამოღვაწევ ადამიანს, ბატონ ივანეს, შინ ეზოში თუთის პლანტაცია აქვს გაშენებული. რაიონის თუთის სანერგე, სადაც მოკლე დროში გამოჰყავთ გამძლე ნერგები, ხელს შეუწყობს როგორც თერჯოლელ, ისე ახლო რაიონების მეაბრეშუმეთა საქმიანობას.

ნუცა კომუნისტური შრომის დამკვრელია. მას მარტო მეაბრეშუმეობით კი არ იცნობენ, მებოსტნეობაშიც ამბობს თავის სათქმელს.

ვეტერანი კოლმეურნე სოფლის მომავალზეც ფიქრობს და დიდ ყურადღებას აქცევს გზების კეთილმოწყობას, ახალი სავაჭრო ობიექტების გახსნას, ავტობუსის მიმოსვლას.

წლები გადის. ჩვენს მეაბრეშუმეს კი გასაოცრად ემატება ენერგია, რადგან ხედავს, რა დიდი ფასი აქვს შრომას.

ლ. ნინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მევენახე გ. მუჯირი

# მათი საზრუნავი

თერჯოლაში მიმავალ კაცს მეხსიერებაში აუცილებლად კლდიაშვილის გმირები ამოუტივტივდება — ზემოიმერელი გაღარიბებული, გაღატაკებული ტიპაჟი, წელში მოხრილი, კუდაბზიკა და ვაისტუმართმოყვარე.

მაგრამ მოლოდინი „არ ამართლებს". სულ სხვაა დღევანდელი თერჯოლა, მისი მშრომელი ადამიანები. ამ რაიონის ცხოვრებაზე, ბევრი ითქვა, ბევრიც დაიწერა. ტელევიზიამ რამდენიმე გადაცემა მოამზადა. ჩვენმა ცნობილმა მწერლებმა ამ რაიონს სპეციალური წიგნიც კი მიუძღვნეს — „გამარჯვებული თერჯოლა".

1976 წელს თერჯოლის რაიონს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

1977 წელს რაიონმა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა მიიღო.

შთაბეჭდილებებით აღვსილებს ყველაფერი გვაინტერესებს, ყველგან ვიხედებით, და მასპინძლებიც ჩვეული იმერული თავაზიანობით ყველაფერს გვიხსნიან.

რაიონის ხელმძღვანელებმა ისიც კი იციან რამდენმა კაცმა შეიძინა ავტომანქანა, მოტოციკლი, ტელევიზორი, მაგნიტოფონი, ფორტეპიანო, მაცივარი, სარეცხი მანქანა, რამდენი მანეთის წიგნი გაიყიდა, რამდენმა ოჯახმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები, რამდენი აბიტურიენტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში... ერთი სიტყვით, მთელი სიზუსტით არის აღნუსხული ყოველივე. რაიონში ყველაფერი კეთდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

* * *

გზა ფერდობებს მიუყვება, ხის ბოგირით მდინარე ჩხარაზე გადავდივართ. აქა-იქ საკირეები ბოლავს. საამო სანახავია მზეს მიფიცხებული დიდველის, ოდინარის, ნაფარეხევის, გოგშინარის, კვირეულას, ცქიფიროულის ვენახები. მბოლავი საკირეები ლამაზად შერწყმია მიდამოს, კოპწია, ორსართულიან, გემოვნებით მორთულ-მოკაზმულ ოდა-სახლებსა და დეკორაციის შთაბეჭდილებას ქმნის.

რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ვართ. მის გამრჯე ადამიანებს ვესაუბრებით. გზადაგზა ვაგროვებთ საინტერესო და საჭირო ფაქტებს, ციფრებს.

როგორც ყველა ქართველს, თერჯოლელ კაცს, ვაზი სალოცავად გაუხდია. ეფერება, ესათუთება, უვლის, შვიდ-რვაჯერ შეწამლვა, მწვანე ოპერაციები, გამოხშირვა, გამობარვა, ცის გახსნა და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ ჭირდება! ვაზი რაიონის ძირითადი კულტურაა. აქ ციცკა და ცოლიკაური სჭარბობს, აპარატაკიდებულ გლეხებს და ჩაფებიან დამხმარეებს რომ შევავლე თვალი, ერთი მეგობრის ნათქვამი სიტყვები მომაგონდა, — ღვინო ჩაის ჭიქებით და ყანწებით კი არა, სუფრის კოვზით უნდა ისმებოდეს, იმდენი შრომა და ჯაფა სჭირდება ამ დალოცვილის მოვლა-მოყვანასო.

შარშან საზოგადოებრივმა ზვრებმა არ გაუმართლა იმედი რუფოთელებს, სამაგიეროდ კერძო სექტორმა იმარჯვა, გეგმის შესრულებაში დიდი წილი დაიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშრიალ-დება თუთის ხეები

ერთ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. რთვლის პერიოდში რაიონში ვერსად შეხვდებით ხერგილებს (გადაღობილ გზებს), ხერგილი მშრომელი კაცის თავმოყვარეობის შელახვას ნიშნავს, თითქოს არ გენდობიან, არ სჯერათ შენი; შარშან, როცა რაიონს გეგმის შესრულება გაუჭირდა, პარტიის რაიკომში კოლმეურნეობებისა და მეურნეობების თავკაცები, მოწინავე მევენახეები მოიხმეს, გაესაუბრნენ, გასაჭირი გაუზიარეს; გამრჯე კაცს თუ ენდობი, არ გიღალატებს! რუფოთელმა მევენახეებმა მართლაც ისახელეს თავი, კერძო სექტორიდან ნიკალა ოქრუაძემ და პავლე სოფრომაძემ შვიდ-შვიდი ტონა, გოლა გოგიაშვილმა — ექვსი, გენო კირკიტაძემ — ოთხნახევარი, აკაკი კუპატაძემ — ხუთი ტონა ყურძენი შეზიდეს სახელმწიფო მარნებში. ყურძნის წონას და შაქრიანობას თვით ჩამბარებელი ზომავს. გასულ წლებთან შედარებით მოიმატა ყურძნის სახელმწიფო ფასმა.

წლეულს რაიონი 21 ათასი ტონა ყურძნისათვის იბრძვის. აქედან რუფოთელებს 378 ჰექტარი მსხმოიარე ვენახიდან გეგმა-ვალდებულებებით 1600 ტონა ყურძნის წარმოება აქვთ გადაწყვეტილი. მეურნეობას ახლახან 240 ჰექტარი ახალშენი ვენახი შეემატა, რომელიც მალე მოისხამს, და, შესაბამისად გეგმაც გაიზრდება. რამდენიმეგან გულისტკივილით გვითხრეს, რაიონის ადრინდელმა ხელმძღვანელობამ შვიდასამდე ჰექტარი მსხმოიარე ვაზი თავისი დაუდევრობით ძეძვსა და ბუჩქნარს დაალუპინეს, ასე თუ არა, ჩვენი საქმე დღეს კიდევ უფრო უკეთესად იქნებოდაო.

ის-ის იყო წვიმამ გადაიღო, თავი ყველას კანტორის ეზოში მოეყარა. შაბათობა გვაქვსო, გვითხრეს. მუშახელი გვაკლია, აქაურ გლეხკაცს განსაკუთრებით უჭირს წამლობა. ვენახის წამლობას ემთხვევა ბოსტნის სამუშაოები, აბრეშუმის ჭიის გამოკვება, მაშინაა ვაზის მწვანე ოპერაციებიც და ასეთ კრიტიკულ მომენტში ჩვენი მეურნეობის ნაცად ხერხს მივმართავთ, ქუდზე კაცი გამოდის.

აქ იყვნენ მეურნეობის დირექტორი მიხეილ ვერულაშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი ვალერი გოგიაშვილი, ეკონომისტი ბორის ზარნაძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ანზორ ბარდაველიძე, ადგილკომის თავმჯდომარე ზურაბ ჩხიკვაძე, მთავარი აგრონომი ჯემალ ჩუბინიძე; აგროგანყოფილების მმართველები: დავით დოლაკიძე, საჩინო არეშიძე, ბონდო აბჟანდაძე, გოგი შეყილაძე, როლანდ გრიგალაშვილი, ერთი სიტყვით, ყველა, დიდი და პატარა, ყველა, ვისაც კი რაიმეს გაკეთება და ხელის განძრევა შეეძლო.

თუ ბალახმა იმძლავრა და ვაზს გაუჭირდა, მაშინვე უნდა შველა, რიგთაშორის გამოთოხვნა. სარეველაც დროზე უნდა ამოიძირკვოს.

რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეურნეობაა რაიონში. იგი სამი სოფლის — ახალი თერჯოლის, რუფოთის და დაბა თერჯოლის ბაზაზე შეიქმნა 1975 წელს. აქ ვაზის გარდა სხვა კულტურების მოყვანასაც მისდევენ. განვითარებულია მებოსტნეობა, მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა, ჰყავთ მოწინავე მევენახეები, მეცხოველეები, მეაბრეშუმეები, მესიმინდეები, მეჩაიეები, რომელთაგან უპირველესად ქების ღირსია ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი, ოთხი ვაჟის დედა გუგულა მუჯირი. მან შარშან 0,06 ჰექტარი ვენახის ფართობზე 80 ცენტნერი ყურძენი მოიწია, ყოველწლიურად 30-35 კგ აბრეშუმის პარკს აბარებს სახელმწიფოს. გუგულას ტოლს არ უდებენ მევენახეები: იზო გურგენიძე, დარიკო ღიბრაძე, გოგონა გამეზარდაშვილი, ნინა გოგიაშვილი, ლამარა აბულაძე, ნორა ფორჩხიძე, რომლებიც ყოველწლიურ გეგმას 110-115 პროცენტით ასრულებენ. მათი მოვლილი ვაზი მთელს მეურნეობაში გამოირჩევა და ვენახების დათვალიერებისას ყოველთვის მოწონებას იმსახურებს. ასევე თავი გამოიჩინეს მეაბრეშუმეებმა: ნინა გოგიაშვილმა, თამარ სამანიშვილმა, ცირა სოფრომაძემ, ქეთო ცქიფურიშვილმა, ცაგურა თოდაძემ, ნანი აბულაძემ, ქეთო გოგიაშვილმა, ლამარა ნიკოლაძემ, გუგულა ნიკოლაძემ, ნიურა გავაშელაშვილმა, ნაზი ტუკვაძემ, მეჩაიე ნათელა გოგიაშვილმა და სხვებმა.

ბევრ სიკეთესთან ერთად ნაკლიც უნდა აღინიშნოს:

რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში თვითდინებაზეა მიშვებული მეჩხერიანობასთან ბრძოლა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე აღნიშნა, რომ „თითქმის უგულებელყოფილია მეჩხერიანობის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება თერჯოლის რაიონის რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც 1978-1979 წლებში მეჩხერი ნაკვეთების შევსების გეგმის შესრულებას დააკლეს 104 ათასი ძირი".

იმედია, რუფოთელები ამ სამართლიანი კრიტიკიდან დასკვნებს გამოიტანენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ თავიანთ ზვრებში მთლიანად მოსპონ მეჩხერიანობა.

**ნანული ბუკია**

...წარსულ წლებში დიდძალი აბრეშუმის პარკი მოჰყავდათ დასავლეთ საქართველოს რაიონებს, მათ შორის თერჯოლის რაიონსაც. რამდენიმე ხნის წინათ ჭიის ერთადერთ საკვებს — თუთის ხეს საშინელი ავადმყოფობა გაუჩნდა, ეს იყო ახალი დაავადება „ხუჭუჭა წვრილფოთლიანობა", რომელიც პირველად ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური საცდელი სადგურის ექსპერიმენტულ ბაზაში აღმოჩნდა და ეს ძვირფასი კულტურა თითქმის მთლიანად გაანადგურა. „ხუჭუჭა წვრილფოთლიანობა" ახალი ვირუსული დაავადებაა, რომელმაც საგრძნობლად დააზიანა ჯიშიანი თუთის ხეები. იგი გადააქვთ ჭიჭინობელებს, გადადის მყნობის დროსაც. სპეციალურ ლაბორატორიებში დადგინდა გადამტანების სახელები და განხორციელდა მათ წინააღმდეგ ბრძოლის საჭირო ქიმიური ღონისძიებები. თუთის გამძლე ჯიშების გამოვლინებაში მონაწილეობენ ცნობილი საბჭოთა სპეციალისტები, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და მცენარეთა დაცვის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტები. ამ დაავადების რადიკალური საშუალებები ჯერჯერობით არ არის შემუშავებული.

თერჯოლელები თავდადებით მუშაობენ გამძლე ჯიშების გამოსაყვანად. შეიქმნა თერჯოლაში სანერგე მეურნეობა. ქუთაისის მეაბრეშუმეთა ზონალური სადგურის დახმარებით გაშენდა თუთის სანერგეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრე თუთას თესლით ამრავლებდნენ. იგი 4-5 წლის შემდეგ იძლეოდა საძირე კვირტს დასამყნობად. სამყნობ კვირტს იღებდნენ თებერვალში და მაცივარში ინახავდნენ. და როდესაც მცენარეებში წვენების მოძრაობა დაიწყებოდა დაახლოებით აპრილში, ეს კვირტები გამოჰქონდათ და ამყნობდნენ გამძლე თუთის საძირეზე.

ქვედა სიმონეთი ცნობილია სააბაზანო თერმული თბილი წყლებით. წყალი ზამთრის პირობებში თითქმის გამოუყენებელია. სააბაზანო თბილი წყლების ოდნავ მოშორებით გამოყვეს ფართობი თუთის დაავადებისადმი გამძლე ჯიშის „ოშიმის“ საკალმედ. ზამთრის მკაცრ პირობებში მიწის სიღრმეში დაახლოებით 35-45 სანტიმეტრის სიღრმეზე გაიყვანეს თბილი წყლის მილები, რომელთა საშუალებითაც მიწის ქვეშ თბება თუთის საკალმე ძირები. საკალმეს მიწის ზევით უტოვებენ რამდენიმე კვირტს. მიწის ზევით რაც უფრო დაბალია ტემპერატურა და ყინავს, უკეთესია. მიწაში საჭირო ტემპერატურაზე თუთის საკალმე ძირები ფესვებს იყრის, ხოლო როდესაც გაზაფხულზე თუთის კვირტებს სითბო დაბერავს, მოღონიერებული კალმის ფესვები უხვად აწვდის კვირტებს საზრდოს და კვირტიც იძლევა ნაყარს. ასეთი მეთოდით თუთის ნერგის გამოყვანას ერთი სავეგეტაციო პერიოდი სჭირდება, ნაცვლად 4-5 წლისა, და ოქტომბრისათვის ეს ნერგი უკვე მზად არის. დიდი ყურადღება ექცევა იმ პლანტაციების მოვლას, რომლებიც დაავადების გავრცელებამდე იყო გაშენებული.

თერჯოლაში არის სილიკატური აგურის ქარხანა, რომლის მახლობლად საკალმეებისათვის გამოიყო რამდენიმე ჰექტარი ფართობი. თუთის საკალმე ფართობის ტერიტორიაზე, მიწის სიღრმეში გაიყვანეს ორთქლის ჭავლები, რის საშუალებითაც ხდება თბილი ჰაერის ცირკულირება. ამგვარად შეიქმნა რაიონის მეორე სანერგე, სადაც ნერგი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში და გაცილებით იაფი ჯდება (15-18 კაპიკი მანეთ-ნახევრის მაგიერ). თუთის ნერგის გამოსაყვანი სანერგე თანდათან ფართოვდება და მარტო თერჯოლის რაიონს კი არა მეზობელ რაიონებსაც უზრუნველყოფს ძვირფასი ნერგით.

— სამწუხაროდ, ისიც უნდა დავძინოთ, — გვითხრა სათაო პარკსაშრობის დირექტორმა ივანე ლიკლიკაძემ — რომ ახლადაყრილ თუთის ფოთოლს მეაბრეშუმე ქალები უდიერად კრეფენ, ხეზე არ ტოვებენ არცერთ ფოთოლს, რაც აუცილებელია მცენარის ზრდისათვის. მთლიანად გაკრეფილი ხეები გვიან იზრდება, ზოგჯერ შეიძლება გახმეს კიდეც.

თერჯოლელები თუთის პლანტაციების გაშენებას მდინარე ყვირილის გადაღმაც აპირებენ. მალე ყვირილაზე ხიდი აშენდება და აბრეშუმის ეს საკვები ბაზა გაძლიერდება.

... გაივლის წლები, აშრიალდება მრავალი ასეული ძირი თუთის ხე, ლასტები აივსება ჯიშიანი საკვებით, ყვითლად და თეთრად დახვავდება აბრეშუმის პარკი.

**ნუნუ ჩიხრაძე**



**ნელი გაბრიჩიძე**

## მოგნი

ჩემი სოფელი ლამაზი,
საქართველოსებრ პატარა...
...
სოფელში ეზო-ვენახი,
ჩემი სოფლისებრ პატარა...
...
ეზოში მწვანე ბოსტანი,
ეზოზე უფრო პატარა...
...
ხბო, შეპარულა ბოსტანში,
თეთრშუბლიანი, პატარა
...
ჩემი პატარა სოფელი,
საქართველოსებრ ლამაზი...

## ექსპრომტი

დღეს, მზის ჩასვლისას, ისე კამკამებს
შენი მთები და ხეთა კენწერო,
რომ მოლოდინში ღელვით ვაღამებ
და გეფერები, ჩემო ეწერო.

ლამის იმ დიდი დედაქალაქის
ყველა დავთრიდან ამოვეწერო,
რომ შენ მოგიძღვნა მთელი მარაგი
დარჩენილ დღეთა, ჩემო ეწერო.

ვინატრებ — თვალი არ ამარიდო,
ვნატრობ ისეთი ლექსი მეწეროს,
რომ შენს სახლებში სანთლად აინთო,
შენ მოგაწონო, ჩემო ეწერო...

დღეს იმერეთი ისე კამკამებს,
ისე იხრება ხეთა კენწერო,
ლამის იმ დიდი დედაქალაქის
ყველა დავთრიდან ამოვეწერო...

## მაინც ვბრუნდები პირველ ხილვებთან

ჩემი ბავშვობის ცისფერო ჩერო,
ვარ მოგლეჯილი შენს მკერდს ძალათი,
არ დამემდურო, არ დაიჯერო,
არ დაიჯერო ჩემი ღალატი.

ვარ დაკაწრული გვიმრის მაქმანით,
ვარ შენი ფშანი ფესვდაგრეხილი,
წისქვილში ძელის სავსე ბათმანი
და გამოკრული ცალკე — ღერღილი.

არ დამჭირდება ახსნა პირბადის
და ხელახალი დამეგობრება, —
ისევე მილირს, როგორც მიყვარდა
შენი მანდილი ცისფერკოპლება.

ორჯერ ჩემს თვალწინ აყრილო ხალხო,
ხარ აფხაზეთში, მესხეთშიც სახლობ,
ალბათ ამიტომ მსურს ყველა ვნახო,
ყველა ახლოა, გულივით ახლო...

მაქვს სალოცავი სახელით — გოგნი,
ავი თვალისთვის გადალობილი,
მისი მშვენება შორ გზაზე მყოფნის
და სიტყვა ძალი — პირველყოფილი,

დამცდება ძილშიც, — თერჯოლა, ჩხარი,
დამესიზმრება მხარე იმერთა,
მაგრამ თუ ზოგჯერ მექცევა მხარი,
მაინც ვბრუნდები პირველ ხილვებთან...

ჩემი ბავშვობის ცისფერო დარდო,
ვარ აგლეჯილი შენს კორდს ძალათი;
ვით საქართველოს — ჩურჩულით
განდობ —
არ დაიჯერო ჩემი ღალატი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვალის იმედი



არ შეიძლება ჩხარი ნახო და არ მოიხიბლო. იგი ულამაზესი დაბაა თერჯოლის რაიონში. რა დაგავიწყებს მთებს, იარუსებად დაყოფილ ქუჩებს, მდინარე ჩხარას, საამო სიოს, შაშვების ჭახჭახს! გული თუ გაქვს, არ შეიძლება აქ დაიბადო და სხვაგან იცხოვრო.

და გული გეტკინება, თუ სიმართლეს გაიგებ: ჩხარი ცარიელდება.

იგი 50-იან წლებამდე რაიონული ცენტრი იყო. შემდეგ პირველობა თერჯოლამ დაისაკუთრა, მაგრამ ჩხარს განვითარება არ შეუწყვეტია.

მისი ცენტრი კეთილმოწყობილია, აქ არის ორსართულიანი უნივერმაღი, სასადილო, სავაჭრო ობიექტები, საპარიკმახერო, კინოდარბაზი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საშუალო სკოლა, დიდების მემორიალი, — სოფლის მშრომელთა ხელით ნაგები შინმოუსვლელთა და შინდაბრუნებულთა ობელისკები. ობელისკთან 346 დაღუპული ჩხარელის ხსოვნის პატივსაცემად მარადიული ცეცხლი ანთია.

და აქ, ასეთ მშვენიერ ადგილზე გაზრდილ-დავაჟკაცებულები ტოვებენ მშობლიურ მიწას და მიდიან!

უკანასკნელ წლებში ათასამდე ჩხარელმა დატოვა აქაურობა. ყოველდღიურად 800-მდე კაცი რაიონის გარეთ მიდის. მათ ავიწყდებათ, რომ ჩხარელები არიან.

...უხსოვარ დროს აქ ზღვა ყოფილა, რასაც მუზეუმში დაცული ზვიგენის კბილი, ზღვის ლოკოკინა, ვეშაპის მალა და სხვა ნივთები ადასტურებენ. 30 მილიონი წლის წინათ მიწამ ამოიწია. ჩხარმა ქვის ხანა გაიარა, ამის უტყუარი ნიშნები საგვარჯილეს გამოქვაბულმა შემოგვინახა.

ნეოლითის ხანის დამადასტურებელია ჩხარის გამოქვაბულში ნაპოვნი სამეურნეო იარაღი, კოლხური თოხები; აღმოჩენილია თიხის ყალიბი, რომელშიც იარაღების ჩამოსხმა ხდებოდა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 საუკუნის რკინის სატევრები, შუბები, ისრის წვერები, წარმართული ეპოქის სამკაულები, ჩვ. წ. აღრიცხვამდე I საუკუნის მინა, ვერცხლის ბეჭდები, ქარვა, კოლხური და ბიზანტიური ფულები, ბიზანტიური იარაღი, ბერძნული წარწერა ძევერაში ნაპოვნ ჭურზე, მე-13 საუკუნის ხელნაწერი სახარება და სამედიცინო კარაბადინი. ყოველივე ეს აუწონავი და განუზომელი სიმდიდრეა.

სკანდის ციხესთან, რომელიც მე-6 საუკუნის ძეგლია, სავაჭრო-საქარავნო გზა გადიოდა და საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებს აკავშირებდა. მე-6 საუკუნეში ამ გზაზე სავაჭრო ცენტრი ჩამოყალიბდა და ჩხარი ეწოდა.

ჩხარი ძველად სამეფო ქალაქი ყოფილა. იგი იმერეთის მეფეებს ეკუთვნოდა და აქ მათ საზაფხულო სასახლე ჰქონიათ. ჩხარის მშვენება იყო მე-11 საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესია. შემონახულია ეტრატზე ნაწერი 36 კილოგრამიანი წიგნი — გულარი, წმინდა ვერცხლის და მოოქროვილი ხატები, კვერცხისოდენა ალმასი.

დასტურდება, რომ სოფელ ზარნაძეების მცხოვრებნი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ყმანი ყოფილან და 1740 წელს თავი გამოუსყიდიათ.

ყველაფერი, რაც წარსულს ეხება, დაცულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც შექმნა ისტორიის მასწავლებელმა ალექსანდრე ბუცხრიკიძემ. ამჟამად იგი ჩხარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა. 50-იან წლებში ალექსანდრე თბილისში სწავლობდა, მაგრამ იქ არ დარჩა, ჩხარს დაუბრუნდა და აქ ბევრი რამ კარგი გააკეთა. დღეს იგი ერთადერთი კაცია, რომელიც უვლის და ამდიდრებს მუზეუმს. მუზეუმს შტატით ერთი მუშაკიც არა ჰყავს. შიშობს ალექსანდრე: მე რომ რაიმე მომივიდეს, ყველაფერი დაიკარგებაო.

ჩხარს უძველესი სკოლა ჰქონია. იგი 110 წლის წინათ გახსნილა. მეთოდი ქავთარაძეს კი 1898 წელს აფთიაქი დაუარსებია და პირველი პროვიზორიც თავად ყოფილა.

საუცხოო სანახავია მუზეუმის ეთნოგრაფიული კუთხე, გლეხთა, რევოლუციური მოძრაობის ამსახველი სტენდები. ჩხარში უცხოვრია გლეხთა რევოლუციური კომიტეტის დამაარსებელს თომა ჩუბინიძეს, აქაურები არიან აგრეთვე გლეხი რევოლუციონერი ალექსანდრე თურქაძე, 1921-24 წლებში პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ბაგრატ სახელაშვილი, კომკავშირული უჯრედის ხელმძღვანელი სეით სიმონგულოვი.

1921 წლის თებერვალში ჩხარში რევკომი შეიქმნა, რომლის თავმჯდომარედ ვასილ შოთაძე აირჩიეს. აქაურია მე-18 ლეგენდარული არმიის პოლკოვნიკი კალენიკე გორგაძე.

ჩხარელებმა თავდადებული შრომით თავი ისახელეს და მეთერთმეტე ხუთწლედს გამარჯვებულები ხვდებიან. კედლებზე მათი შრომის ამსახველი ფოტოებია.

მუზეუმი დაკეტილი არ უნდა იყოს, მისი გასაღები ალექსანდრე ბუცხრიკიძეს არ უნდა ჰქონდეს, აქ კაცი უნდა ტრიალებდეს, ხელს აშველებდეს აქაურობას, ყვებოდეს ყოველი ნივთის ისტორიას, აცოცხლებდეს წარსულს და ფიქრობდეს მომავალზე.

დასანანია, რომ ასე არ არის!

ჩხარელები კი ჯერჯერობით მაინც მიდიან ჩხარიდან.

რას აკეთებს დღეს თერჯოლის რაიონის ხელმძღვანელობა ჩხარელებისათვის:

შენდება დიდებული კულტურის სახლი 400-ადგილიანი დარბაზით და საწრეო მუშაობისათვის განკუთვნილი ოთახებით, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოწყობილი საცურაო აუზი გაიხსნება საამქროები, სადაც ახალგაზრდობა შინამრეწველობის მივიწყებულ დარგებს დაეუფლება. ქალები სამკერვალო ფაბრიკაში ივლიან. ჩხარელებს შეეძლებათ ახლო-მახლოც ჩაებან შრომის ფერხულში, თუნდაც მელვინეთა ქალაქში, რომელიც დაბა თერჯოლის ტერიტორიაზე შენდება.

ჩხარი უძველესი კულტურის ცენტრი და თანამედროვე დაბაა, რომელსაც სახელოვანი წარსული და უფრო უკეთესი მომავალი აქვს. მას არცერთი კაცი არ უნდა მოაკლდეს. იგი ხვალის იმედით ცხოვრობს და ახალგაზრდობის სიყვარული, ერთგულება, შრომა სჭირდება!

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



სონია ჩიტაძე თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბნის მკვიდრია. იგი ათი შვილის დედაა და ოცი შვილიშვილის ბებია.

# კარგი დედები

შვილი რომ გყავდეს, არ არის ძნელი,
დედა რომ გერქვას ძნელია სწორედ.
თუ ხარ დედა და თუ ხარ ქართველი —
შვილი შენს გულთან ათანასწორე.
არა მარტოდენ შრომით და გარჯით,
არა მარტოდენ ჭაღარა თმებით, —
შენ იზომები საქვეყნო საქმით
შენ იზომები სიბრძნით და თმენით.
ვერ აგამაღლებს შვილთა სიმრავლე
თუ გულს არ ახლავს მამულის სითბო:
მეტი სინათლე, მეტი სიმართლე,
აი, დღეს რასაც ქვეყანა ითხოვს!
და თუ ტკბილ ქართულ იავ-ნანაში
ჩაქსოვილია ჰანგი გმირული
ეპოქა ითხოვს,
შვილთა აღზრდაში,
იყო უფრორე თავგანწირული.
იყავ პირადი, იდექი მედგრად,
შეინარჩუნე სახის ღიმილი,
საერთო გქონდეს სულის ლხენა და
გაიზიარე ქვეყნის ტკივილი.
რადგან ალერსით და მოფერებით
არ იზომება გული დედების,
— ძირს ფუფუნება, გვჭირია ფრთები —
ფრთები არწივის, ფრთები მტრედების.
ნუ გაგიტაცებს მოდების ჟინი
და დღევანდელ დღის გამომსახველი,
შეინარჩუნე ჭირში და ლხინში
სახელოვანი დედის სახელი.
სხვაგვარად რომ ვთქვათ, არცა გაქვს ნება
დღეს მით უმეტეს როცა ვმაღლდებით
შენ წინ მიუძღვი ჩვენს გამარჯვებას,
შენ აგებ პასუხს, თუ დავმარცხდებით...
მიტომ უებრო პატიოსნებით
გზები — უვალი უნდა გათელო,
მხოლოდ და მხოლოდ კარგი დედები, —
აი რას ითხოვს დღეს საქართველო!

დანიელ ხახიაშვილი

# პირველად თერჯოლაში

თერჯოლის რაიონის სოფლები ჭოგნარი და გოდოგანი განთქმულია ქვის მხატვრული დამუშავების უძველესი ხელოვნებით. მათს მხარეში ეკლარის ქვის საბადოა და სწორედ ამიტომ გაიხსნა სასკოლოთაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი, სადაც ახალგაზრდებს ქვის მხატვრულ დამუშავებას კარგი მასწავლებელი, ხელოვანი, მხატვარი, მძერწავი და მოქანდაკე იონა კვიმსაძე ასწავლის.

პატივცემული იონა საოცარი სიფაქიზით გრძნობს უბრალო ქვის სილამაზეს. მან თავის სკოლასთან, ღია ცის ქვეშ უცნაური „საკლასო ოთახი" აღმოაჩინა; კლდოვანი ქვისა და მწვანე ნარგავთა თავისებური კომპოზიცია ყმაწვილებს იმ სამყაროს აგონებს, ვაჟა-ფშაველამ თავის ნაწარმოებებში რომ აღწერა.

— პირდაპირ საოცარია, ხეები კლდეშია ამოზრდილი, მწვანე სიცოცხლეს ქვის მონოლითი გაურღვევია, გაზრდილა და თავს ჩინებულად გრძნობს. — გვითხრა პატივცემულმა იონამ და დასძინა, — არ ვიცი, მე მეჩვენება ეს სილამაზე, სხვანაირად რომ ვარ ქვაზე შეყვარებული, თუ მართლა ასეა. ახლა სასწავლო კომბინატში პროგრამაში გვაქვს, მაგალითად, მოზარდებს ყორის აგება ვასწავლოთ.

მერე ორღობეს გახედა, წითლად აბრდღვიალებული ბროწეულის ტევრში ეკლარის ქვისაგან მშრალად დაწყობილი ყორე გვაჩვენა და ისეთი აღტაცებით გვიხსნიდა, თითქოს ამ სინატიფეს პირველად ხედავდა.

ყორე გარემოს მართლაც კარგად მორგებოდა, რელიეფს შეხამებოდა. დროთა ვითარებაში ეკლარის ქვა დაჟანგულა და ბუნების ნაწილი გამხდარა. რუხი ფერის ქვებზე ალაგ-ალაგ ხავერდივით ბრწყინავდა ჭაობისფერი სიფრიფანა ხავსი და ეზოში მუხლამდე აყრილ კოინდარს ზღაპრულ სილამაზეს ანიჭებდა.

— სამწუხაროდ, ახლა აქა-იქ შემორჩა ასეთი ყორე. ამ მხრივ გაღარიბდა სოფელი.

მართლაც ულამაზოდ მოჩანს აგურითა და ცემენტით ნაგები მსხვილი რკინის ალაყაფით დახშული მძიმე გლუვი კედლები. მერე, თითქოს იმ კედლებს მონგრევით ემუქრებაო, ისე ჩაილაპარაკა: ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვები დიდი ინტერესით სწავლობენ ყორეზე ქვის წყობას...

ჩვენ ვნხეთ ქვითხუროობის გაკვეთილი — გემოვნებისა და სილამაზის გაკვეთილი.

— ქვას რომ შეხედავ, დაახლოებით ხუთი მეტრიდან უნდა იცნო, მშენებლობაში, რომელ ადგილას მოერგება ისე, რომ ჩაქუჩის ხმარება არ დაგჭირდეს, აი, მაშინ ხარ კარგი ოსტატი!—ეს იყო გაკვეთილის თეორიული ნაწილი — შესავალი. მერე მუშაობა გაჩაღდა, საზოგადო საქმისადმი გულდადების, მომჭირნეობის, სოფლის სიყვარულის გამომხატველი მუშაობა.

ჭოგნარში, ამ სასწავლო კომბინატის მეზობლად მოსაპირკეთებელი ფილების საწარმოა. როგორც ყველა საწარმოს, მათაც, აქვთ ნარჩენები. ჰოდა, იმ თეთრი თლილი ქვის ნამტვრევებისაგან პატარა შეგირდები ოსტატთან ერთად სასწავლებლის ირგვლივ ღობის აგებას შეუდგნენ ისე, რომ ჩაქუჩს არ ხმარობდნენ. ამ ხერხს, თურმე ქვის გადაბმა ჰქვია. ბიჭები ქვიდან ქვას ისე მოხერხებულად და გემოვნებით აბამდნენ, რომ კედელზე ლამაზი ჩუქურთმა იკვეთებოდა.

„ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა... ნებისმიერი შრომითი კოლექტივი შესაბამისი ესთეტიკური ღირებულებითი ორიენტაციის, მისი წევრების აქტიური სულიერი აღზრდის გარეშე, ამიტომ თითოეულ შრომითს კოლექტივს მხატვარი, შემოქმედი ისევე სჭირდება, როგორც ინჟინერი, ფსიქოლოგი, დამრიგებელი, სოციოლოგი, პედაგოგი, მუსიკოსი“, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მხატვართა გაერთიანებულ პლენუმზე.

ახალგაზრდების ხელით შექმნილი ჩუქურთმები მათი სოფლის ყოფა-ცხოვრებას მხატვრულ სამკაულებად დაებნევა. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ზამთრის გრძელ ღამეს ლამაზად მოხარატებული ბუხრის პირთან ჯდომა, ქვაზე ნაკეთობა შნოსა და ლაზათს მატებს სასოფლო საბჭოს შენობას, კულტურის სახლს, ეზოს ჭიშკარს, სახლის ფასადს, ჭადრაკით განწყობილ ქვის მაგიდასა და სკამებს, მაგრამ სოფელს ყველაზე მეტად ამშვენებს მეურნეს ხელით მოვლილი საკარმიდამო ნაკვეთი და საზოგადო სავარგულები — ყანა, ვენახი, ბოსტანი, ბაღები. სწორედ ამიტომ თერჯოლაში პირველად ის სასოფლო-სამეურნეო სასკოლათაშორისო სასწავლო საწარმოო კომბინატი შეიქმნა, რომელიც მოზარდებს საშუალო სკოლიდან მოუწყვეტლივ ასწავლის საზოგადოებრივ შრომას, ხელს უწყობს ტრაქტორის, ავტომძღოლის, მევენახის, დურგლისა და მკერავის პროფესიის დაუფლებაში.

თერჯოლელებს შეუძლიათ იამაყონ, რომ ისინი რესპუბლიკაში პირველი გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „მოსწავლეთა შრომითი სწავლების და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო საწარმოო კომბინატის შექმნის შესახებ“, რომელიც მოსწავლეთა მრავალპროფილიან მომზადებას ითვალისწინებდა. აი ასე, 1977 წელს თერჯოლაში შეიქმნა სოფლისათვის საჭირო კადრების სამჭედლო, მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივნის ანზორ ბურჯანაძის ინფორმაცია ამ კომბინატის შექმნის თაობაზე. განიხილა ეს ფრიად აქტუალური საკითხი, მოიწონა და მიიღო სათანადო დადგენილება. ამ დადგენილებამ ჰპოვა ხორცშესხმა, რესპუბლიკის დედაქალაქსა და სხვადასხვა რაიონში უკვე ოცამდე ასეთი სასწავლო კომბინატი შეიქმნა.

ახლა თერჯოლის პირველ სასწავლო-საწარმოო კომბინატში დიდი სამზადისია — მომავალი მკერავების კვალიფიკაციის შესამოწმებლად ქუთაისის სახელგანთქმული სამკერვალო ფაბრიკის ოსტატები ჩამოვლენ.

დურგლები, ტრაქტორისტები და ავტომძღოლები, ცხადია, დაზგასთან და საჭესთან გამოცდიან თავიანთ შესაძლებლობებს. მევენახეთა ოსტატობაზე მეტყველებს კარგად მოვლილი სამი ჰექტარი ზვარი, რომელიც მოსავლელად ამ სასწავლებლის აღზრდილებს დაუთმეს შეფებმა.

— ღრმა მეცნიერული ცოდნა, ფართო პოლიტიკური თვალსაწიერი, ნოვატორული სულისკვეთება და შრომითი განწყობა, — აი რა მიაქვთ ახალგაზრდებს ამ სასწავლებლიდან იმ საგზურთან ერთად, რომელიც მათ უფლებას აძლევს, მიღებული სპეციალობის მიხედვით იმუშაონ სახალხო მეურნეობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმმა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე დიდი ამოცანები დასახა. ეს ამოცანები საპატიოც არის და საპასუხისმგებლოც. ახალგაზრდები მზად არიან პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვის პასუხად ყველაფერი იღონონ, რათა მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი გადააქციონ დამკვრელური, ლენინური მუშაობის წლად, შრომითი ნობათებით შეხვდნენ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს. შეასრულონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ყველა გეგმა-ვალდებულება, შექმნან მტკიცე საფუძველი მეთერთმეტე ხუთწლედში წარმატებული მუშაობისათვის.

**რუსუდან გამსახურდია**









ეროვნული ბიბლიოთეკა

# მკითხველს ბიბლიოთეკაში მიუხარია



ყვირილიდან მონაბერ ნიავს საამო სიგრილე შემოჰქონდა თერჯოლის აყვავებულ ბაღ-ვენახებსა და ეზოებში. დილით მამლის ყივილს დაასწრო ადგომა თინა ფანჩულიძემ. მძინარე შვილიშვილს მზრუნველად დახედა, ნაზად თავზე ხელი გადაუსვა და კარი ნელა გაიხურა. წინასწარ დაგეგმა სამუშაო დღე. მრავალფეროვანი და საინტერესო საქმეები ელოდა ბიბლიოთეკაში. ქალი დინჯად გაუყვა გზას. განვლილმა წლებმა კინოკადრებივით გაიელვა მის თვალწინ...

დილით ალიონს ასწრებდა თინათინი. ეს კაფანდარა ქალი დღისით ტყიბულის ქვანახშირის მღვიმეებს ანგრევდა კაცების გვერდით, საღამოს კი სამთო ტექნიკუმის მერხთან იჯდა.

ადვილი როდია ხალხის ნდობისა და პატივისცემის მოპოვება. თინა ფანჩულიძემ თავდადებული შრომით მიაღწია ამ სიყვარულს. მალე კომკავშირის რიგებშიც მიიღეს. გადიოდა წლები. 1934 წელს თინა ზემო სიმონეთში სამკითხველოს გამგედ გადავიდა.

ზემო სიმონეთში ბიბლიოთეკა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა დააარსა. იგი ერთ პატარა შენობაში იყო მოთავსებული და შიგ რამდენიმე ბროშურა თუ მოიპოვებოდა. თინა სიყვარულით შეუდგა ახალ საქმეს. კარდაკარ, სოფელ-სოფელ დადიოდა და საინტერესო ლიტერატურას ეძებდა ბიბლიოთეკისათვის.

შრომისმოყვარე, ენთუზიასტი ქალის საქმეები შეუმჩნეველი არ დარჩა და იგი მალე პარტიის რიგებში მიიღეს, შემდეგ პარტიის რაიკომში ბიბლიოთეკის გამგედ გადაიყვანეს.

მალე სარაიონო-ბიბლიოთეკების ფონდი გააერთიანეს და მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს ძველი შენობა უკვე აღარ აკმაყოფილებდა.

ბიბლიოთეკას საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მიერ გათავისუფლებული ორსართულიანი შენობა გადაეცა. თინა ფანჩულიძის თაოსნობით მოკლე ხანში მოხდა მისი რეკონსტრუქცია. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 40 ათასამდე გაიზარდა. გაიხსნა ახალი განყოფილებები: მეთოდურ-ორგანიზაციული, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, დაკომპლექტება-დამუშავება, სააბონენტო, საბავშვო და მასობრივი.

...მკითხველები შემოეჯარნენ ბიბლიოთეკას:

აქ მოდიან სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა ასაკის ადამიანები. ხშირად ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები. შეხვედრები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავე მუშაკებთან, შრომისა და ომის ვეტერანებთან. თინა დამაჯერებლად, საინტერესოდ საუბრობს მკითხველებთან ცხოვრების სიახლეებზე, ჩვენი ქვეყნის მიღწევებსა და რაიონის წარმატებებზე. ხშირად იმართება მკითხველთა კონფერენციები, თეორიული



ბიბლიოთეკის გამგე თ. ფანჩულიძე (შუაში).

და, თემატური საღამოები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან შეხვედრები. ბიბლიოთეკამ ფართო პროპაგანდა გაუწია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის უკვდავ შრომებს — „მცირე მიწას“, „აღორძინებას“, „ყამირს“, რომლებიც ფასდაუდებელ განძად იქცა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. აქ დიდი წარმატებით აღინიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის იუბილე.

ბიბლიოთეკას მიღებული აქვს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების პირველი ხარისხისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს შვიდი დიპლომი. ბიბლიოთეკის თანამშრომლები არიან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილენი. ბიბლიოთეკა დაჯილდოებულია გამოფენის დიპლომით. მის მუშაკთაგან შვიდს მინიჭებული აქვს საპატიო ბიბლიოთეკარის, ხოლო სამს — რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება. ბიბლიოთეკის მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის ბიბლიოთეკის გამგე თინა ფანჩულიძე დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნებითა და მედლებით, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება.

ბიბლიოთეკამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა მკითხველთა საკავშირო კონფერენციის „საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის“ — ჩატარებაში, რისთვისაც დააჯილდოვეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების საპატიო სიგელით.

თინა ფანჩულიძის დაუღალავი შრომით, თერჯოლის რაიონული ბიბლიოთეკა წიგნის პროპაგანდის მძლავრი კერა გახდა. მუდმივ მკითხველთა რიცხვმა სამ ათასს მიაღწია.

„ყოველ წიგნს — თავისი მისამართი!“. ეს არის ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სამოქმედო დევიზი. მეტი მკითხველის მიზიდვისა და წიგნის პროპაგანდის ამაღლებისათვის აქტიურად იყენებენ მასობრივი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, შედგენილი აქვთ ოჯახების წევრთა კართოტეკები, რაც ხელს უწყობს წიგნის მოყვარულთა ორგანიზებულად მომსახურებაში.

ბიბლიოთეკის მუშაკებს ღრმად აქვთ შეგნებული ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითება იმის შესახებ, რომ ბიბლიოთეკის სახელი და სიამაყე ის არის, თუ რამდენად ფართოა წიგნის ბრუნვა ხალხში, რამდენი ახალი მკითხველი შეემატათ, როგორ იზრდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

ბიბლიოთეკას ამშვენებს ლამაზად გაფორმებული სტენდები, რომელიც რაიონის მოწინავე ადამიანთა ცხოვრებას ასახავს და გვიჩვენებს თერჯოლელთა მიღწევებს. აქვე მოწყობილია მოწინავეთა დაფა „თერჯოლის რაიონის შუქურები“. ბიბლიოთეკარის დარეჯან ბუსკივაძის თაოსნობით გაშენდა შინმოუსვლელთა ხეივანი. სამართლიანად ბიბლიოთეკას თერჯოლელებმა „კულტურის ტაძარი“ შეარქვეს.

თინა ფანჩულიძე თავის ცოდნას და გამოცდილებას კარგად უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას, მას ხშირად შეხვედებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თინა თავის კოლეგებთან ერთად მიდის მთებში მეცხვარეებთან, მიაქვს საინტერესო ლიტერატურა. მრავალმხრივი აღმზრდელობითი მუშაობა გასწია წარსულის გადმონაშთების დასაძლევად, იბრძვის საზოგადოებისათვის მავნე და დრომოჭმული წესების აღსაკვეთად, ხშირად თანამშრომლობს ადგილობრივ პრესაში. იგი პროფკავშირის რაიონული კომიტეტის უცვლელი თავმჯდომარეა.

თინა და 18 ახალგაზრდა ქალი უპრეტენზიოდ უძღვებიან ამ მეტად საპატიო საქმეს. ნორა ბრეგაძე, ნინა არეშიძე, ოლია ბელელაძე, გუგული ამირანაშვილი, გულნარა ფანჩულიძე, დარეჯან ბუსკივაძე, ლეილა გოგიშვილი, მზია ზარნაძე, მარინე ნასყიდაშვილი თავიანთი საქმის დიდი ენთუზიასტები არიან და ყველა მათთვის მთავარი საზრუნავი გამხდარა — ბიბლიოთეკა და მკითხველი.

ოლია დადიანი,
ნუნუ ჩიხრაძე.

## პატარებისათვის

# მხიარული ლექსები

### ფანქარი

ამ დილას უფროს ძამიკოს
ეხვეწებოდა ბაქარი:
— თუ ჩემი ძმა ხარ, ზალიკო,
მათხოვე შენი ფანქარი!
— მერედა, რატომ გათხოვო,
მაგ ფანქარს ვითომ რა უშავს?
— რამდენი სიტყვაც დავწერე,
სულ შეცდომები დაუშვა.

### ნატვრა

— მეც კურდღელივით ვეება
ყურები მქონდეს ნეტავი,
ყველაფერს გავიგონებდი,
ამბობს კუდრაჭა ნესტანი.
დას გაკვირვებით უყურებს.
პაწაწკინტელა ალუდა:
— რას ამბობ, გოგო, იმხელა
ყურებს დაბანა არ უნდა?!

### სინანული

— მაშ, მეორე კლასში უკვე
გადახვედი შვილო?! —
მოეფერა დილით დედა
პაწაწინა ილოს.
— ჰო, დედიკო, გადავედით
ორმოცივე ბავშვი,
ჩვენი მასწავლებელი კი
დარჩა პირველ კლასში.

### ფისო და თაგუნები

დღეს სკოლიდან რომ დაბრუნდა,
იათამზეს ჰკითხა ბენომ:
— შენ თუ იცი, თაგუნები
რამდენ ხანსა ცოცხლობენო?
ჯერ ჩაფიქრდა წამით გოგო
შუბლზე თითებმიდებული,
მერე უთხრა:
ეგ ფისოზე არის დამოკიდებული.

შოთა ამირანაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამხატვრო გალერეა

თერჯოლაში დღეს ბევრს ფიქრობენ ადამიანის სულიერი კულტურის დონის ამაღლებაზე.

„პარტიას თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარ ამოცანად მიაჩნია პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრის შექმნა“ — ვკითხულობთ სკკპ პროგრამაში.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის XXXVII კონფერენციაზე მშრომელი კაცის კეთილდღეობისათვის პარტიული ზრუნვის ამოცანები მკაფიოდ ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც აღნიშნა: „მშრომელებს უნდა შევუქმნათ ყველა საჭირო პირობები, რათა კარგად და კულტურულად დაისვენონ, თავიანთი სულიერი ზრდის სასარგებლოდ გაატარონ თავისუფალი დრო“.

ამის ნათელი დადასტურება იყო 1979 წელს — პირველად რაიონებს შორის თერჯოლაში საქართველოს სახელმწიფო გალერეის ფილიალის გახსნა.

გალერეის გახსნას დაესწრნენ რსფსრ დამსახურებული მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ს. დუდნიკი, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი დ. თაყაიშვილი, საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეის დირექტორი მ. ყიფიანი და სხვები.

გალერეა პლენერის მუშაობით ამოქმედდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რსფსრ დამსახურებული მხატვარი მ. ბირშტეინი და ქუთაისის მხატვართა კავშირის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯ. ფაჩუაშვილი. თერჯოლაში ერთ თვეზე მეტხანს დაჰყვეს ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის მხატვრებმა. ისინი მუშაობდნენ რაიონის შრომის თემის ამსახველ ფერწერულ, გრაფიკულ, მონუმენტურ ქმნილებებზე, რომელთა ნაწილი დღეს თერჯოლის გალერეის მუდმივ საექსპოზიციო დარბაზს ამშვენებს.

ამ დღეებში გაიხსნა რიგით მეორე გამოფენა, რომელზეც ვრცლად არის წარმოდგენილი ლ. გუდიაშვილი, ირ. თოიძის, ელ. ახვლედიანის, უ. ჯაფარიძის, ს. მაისაშვილის, მ. ხვიტიას, ი. პატაშურის, გ. თოიძის, დ. ხახუტაშვილის, ვ. შუხაევის, ბ. ბერძენიშვილის, ფ. მანაგაძის, გ. მიზანდარის, მ. ახობაძის, ჯ. ხუციშვილის, ნ. შალიკაშვილის და სხვათა ტილოები. ვერნისაჟს ამშვენებს ჰედურობის გამოჩენილი ოსტატების: ი. ოჩიაურის, რ. იაშვილის, კ. გურულის, ს. ქორიავას, გ. გაბაშვილის ნამუშევრები; აქ წარმოდგენილია ხეზე კვეთის რამდენიმე ოსტატის ნამუშევრები, რომელთაგან აღსანიშნავია ჩერტყოშვილის „მშვიდობა“, ლაბადაშვილის „ცხენები“, რ. ნარტყოშვილის „პატარა მწყემსი“.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ლევან მხეიძის სკულპტურული ნამუშევარი (ესკიზი) — „დავით კლდიაშვილი“, გარემოსილი თავისი ნაწარმოებების პერსონაჟებით. იგი მწერლის დაბადების 120-ე წლისთავზე უნდა დაიდგას რაიონის შესასვლელთან.

ახლო მომავალში მოეწყობა რამდენიმე მხატვრის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. მომდევნო გამოფენები კი ოლიმპიურ და სპორტულ თემებს მიეძღვნება.

თერჯოლაში გალერეის გახსნა, უპირველესად, სოფლად კულტურულ აღმავლობას, სოფელსა და ქალაქს შორის ზღვარის წაშლას მოწმობს.

**ნ. არჩვაძე**





მ. ბირშტეინი — პორტრეტი



მ. ნებიერიძე-ხვიტია — პეიზაჟი



ა. ნელაძე — „მეთუნე“



ი. ნიხტორავა — „ქვევრები“



მ. ხვიტია — იმერეთის პეიზაჟი



# გამარჯვებული „იმერეთი“

დოლ-გარმონისა და ანაპერწკლებული ხმლების ჯახა-ჯუხის ხმები გვიან ღამით მიწყდა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ვინ იცის რამდენჯერ გაამეორებინა ჰარმონიული მოძრაობები ლეონიდ ფაჩულიამ თერჯოლის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრებს.

1975 წელს საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიონულმა კომიტეტმა გადაწყვიტა რაიონში სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი შეექმნა. დაიწყო ინტენსიური მზადება. ანსამბლს „იმერეთი“ დაერქვა. ანსამბლში გაერთიანდნენ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები.

„იმერეთი“ წარმატებით მართავს კონცერტებს რესპუბლიკის ქალაქებსა თუ სოფლებში; ანსამბლი მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალის ლაურეატი და დიდი ოქროს მედლის მფლობელიც გახლავთ, დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით.

გამარჯვებული „იმერეთი“ ქალაქ სარატოვში სიმღერის დღესასწაულზე მიიწვიეს, სადაც დიდი წარმატებით გამოვიდა და პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, კომპოზიტორმა მ. ჩირინაშვილმა აღნიშნა, „იმერეთი“ ძალზე კოლორიტული ანსამბლია, იგი ბრწყინვალედ, დახვეწილი გემოვნებით ასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერებსო.

1977 წელს „იმერეთმა“ დედაქალაქის მშრომელთათვის კონცერტი გამართა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ანსამბლს კვლავ ელოდა ახალი წარმატებები; 1978 წელს იგი ინგლისის ქალაქ ბილინჰემის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს, სადაც ჩვენი ქვეყნის ღირსება უნდა დაეცვა. უცხოეთის ფესტივალისათვის მზადება თერჯოლაში ელვის სისწრაფით დაიწყო. გამზადდა სავარაუდო სია, ანსამბლის ხელმძღვანელობა დაევალათ ლოტბარსა და სამხატვრო ხელმძღვანელს — ლეო ფაჩულიასა და ქორეოგრაფს — ელგუჯა გუმბერიძეს, „იმერეთის“ შემადგენლობაში 36 კაცი შევიდა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ ავსტრიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ესპანეთის, თურქეთის, ბულგარეთის, ნეპალის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, შოტლანდიის და სხვა ქვეყნების შემოქმედებითი კოლექტივები.

ბილინჰემის საერთაშორისო ფესტივალი ერთ კვირას გაგრძელდა. დიდი ბრიტანეთის მიწაზე საბჭოთა კავშირის დროშა, ფესტივალის მონაწილეთა მწყობრში დიმიტრი ფანჩულიძეს მიჰქონდა. თერჯოლელებმა მოხიბლეს ინგლისის მომთხოვნი მაყურებელი.

— დიდხანს გვიკრავდნენ ტაშს! — გვითხრა ლეო ფაჩულიამ, რა თქმა უნდა, ეს ჩვენი მომხიბლავი სიმღერებისა და ცეცხლოვანი ცეკვების შემსრულებელთა დაუღალავი შრომის შედეგია. — ანსამბლი დღეში ორ-სამ კონცერტს მართავდა. როდესაც ფესტივალი დამთავრდა, ქალაქის მერმა ანსამბლის ხელმძღვანელებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები — ვიმპელი, ქალაქის ემბლემა, მონაწილეთა საერთო სურათი.

თერჯოლელებმა კონცერტები გამართეს აგრეთვე დამსვენებელთათვის და ქალაქის მერის რეზიდენციის თეატრშიც. 12-13 დღეში ანსამბლმა ინგლისის ქალაქებში 30-ზე მეტი კონცერტი გამართა.

თერჯოლელთა ზეიმი არასოდეს დამთავრდება, რადგან უზომოა სურვილი გამარჯვებისა!

ნუნუ პირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ვაზის ყვავილობა"



1980 წელს კიდევ ერთი შესანიშნავი საჩუქარი მიილო თერჯოლელმა ახალგაზრდებმა. ეს არის ქორწინების სახლი „ვაზის ყვავილობა".

მწვანე გორაკზე ქართული სტილით აშენებული სვეტებიანი ოდა-სახლი გადმომდგარა. შესასვლელში ანკარა წყარო მოჩუხჩუხებს, ქართული ორნამენტებით მოუჩუქურთმებიათ მარანი...

ამ წმინდა სახლის ჭერქვეშ ბევრი თერჯოლელი ჭაბუკი და ქალიშვილი დაუკავშირებს ერთმანეთს თავის ბედს, მერე დიდ ნათელ საბანკეტო დარბაზში დალოცავენ მათ მახლობლები და ნათესავები, ამ ბედნიერი შენობის ზღურბლიდან გადაიდგმება პირველი ნაბიჯები ოჯახური ცხოვრების გზაზე.

ქორწინების სახლს — „ვაზის ყვავილობას" სხვა კეთილშობილური მისიაც აქვს დაკისრებული: აქ იმუშავებს ახალგაზრდა ხელოვანთა და შემოქმედთა კლუბი.

„ვაზის ყვავილობა" კიდევ ერთი დადასტურებაა იმ დიდი ზრუნვისა, რომელსაც თერჯოლის ხელმძღვანელობა იჩენს ახალგაზრდობის მიმართ.

# მიღწევები მეცხოველეობაში

ხუთი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე განხილული იქნა რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების საპრობლემო საკითხები. მას შემდეგ საქართველოში მეცხოველეობის განვითარებისათვის ბევრი რამ გაკეთდა. სწორედ ამ გაკეთებულის შეჯამებას, მომავლის ამოცანებს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმი.

თერჯოლის რაიონში მე-18 პლენუმის შემდეგ შეიქმნა მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოო და აშენდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მარტივი ტიპის სასუქი მოედანი 1200 სული წლიური გამტარიანობით, მოზარდეულის გამოსაზრდელი ბინა 500 სულისათვის, ღორების ღია სასუქი მოედანი 3000 სული წლიური გამტარიანობით, რეპროდუქტორი დედაღორებისათვის.

სოფელ ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობაში ტიპიური პროექტით აშენდა 104 სულისათვის გათვალისწინებული საძროხე.

სოფელ ეწრის კოლმეურნეობაში აშენდა რეპროდუქტორი დედა ღორებისათვის.

სოფელ ალისუბნის კოლმეურნეობაში ექსპლოატაციაში გადაეცა რეპროდუქტორი 120 სული დედა ღორისათვის.

რაიონში შეიქმნა სარაიონთაშორისო იმერული ცხვრის სახელმწიფო ჯიშსაშენი სოფელ რუფოთის ტერიტორიაზე 100 დედა ცხვრისათვის, რაც უზრუნველყოფს სელექციას იმერული ცხვრის აღსადგენად.

პირუტყვისათვის ყოველგვარი საკვების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით რაიონის 15 საზოგადოებრივ მეურნეობაში აშენდა 12 საკვებშესამზადებელი საამქრო, მშენებლობის პროცესშია — 2.

სოფ. გოდოგნის კოლმეურნეობაში აშენდა ღორებისათვის ბინა.



— მეცხოველეობის საძეუოხეობათაშორისო საწარმოში მშენებლობის დამთავრების პროცესშია საძროხე 400 სულზე და სანაშენო დეკეულების გამოსაზრდელი ბინა 350 სულზე. მშენებლობის პროცესშია ღორებისათვის ღია სასუქი მოედანი 3000 სული წლიური გამტარიანობით. მშენებლობის პროცესშია — სოფელ სიქთარვის კოლმეურნეობაში რეპროდუქტორი დედა ღორებისათვის. სოფელ თეზის კოლმეურნეობაში საძროხე 200 სულზე.

თერჯოლელები ფიქრობენ, ყველა ღონე იხმარონ იმისათვის, რომ საქართველო გადაიქცეს მოწინავე მეცხოველეობის რესპუბლიკად:

ისინი აპირებენ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიში მთლიანად ლიტვური შავჭრელითა და შვიცებით შეიცვალოს და ამგვარად რაიონის მთელი საზოგადოებრივი მსხვილფეხა პირუტყვი ბაგურ კვებაზე გადავიდეს.

ბარდუბნის მეცხოველეობის კომპლექსი, სადაც ეს შავ-ჭრელი ლიტვური ძროხები შესანიშნავად გრძნობენ თავს და კარგად შეეგუენ ადგილობრივ პირობებს, ამის მტკიცე გარანტიას იძლევა.

პირუტყვის საკვებისათვის რაიონში გამოიძებნა რეზერვები, მომვლელებად მოვიდნენ ენთუზიასტი ახალგაზრდები, ფერმებში დაინერგა მექანიზაცია, — წველა, სადგომების დასუფთავება და საკვების მიწოდება ხელით აღარ ხდება, ყველა ფერმაში დადგმულია საკვების დამამზადებელი ახალი აგრეგატები, რომლებიც საგულდაგულოდ ამუშავებს ბუნებრივ საკვებს, ჩალას და ყოველგვარი დანაკარგების გარეშე აწვდის საქონელს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ბეჟარაშვილი

# ვენახში

16 429

გუშინ ბიჭი ჩამოვიდა მანქანით. შაქრიკოც თან ჩამოიყვანა. პაპა ენაცვალოს, ჩემი სეხნიაა. ვენახში წავიდეთო, თქვეს და წამოვედით. აქ რომ იყვნენ, რაღა მინდოდა, — გოგირდსა და შაბიამანს მანქანით ჩამოვიტანდით ვენახში. მაგრამ რას ვამბობ, კაცო, ოღონდ აქ იყვნენ და მაგათი მანქანა რად მინდა, ხელითაც კარგად ჩამოვიტან. განა რა იმდენი გოგირდი და შაბიამანია ხოლმე ჩამოსატანი! ესეც არ იყოს, ვენახებშუა საურმე გზაზე ფეხით ჩავლა არა სჯობს? იქით გაიხედავ, აქეთ გამოიხედავ, ვენახებს თვალს გადაავლებ, ვისმეს გამოელაპარაკები, გამარჯობას ეტყვი. მანქანამ კი იგრე ჩამოგვატარა, ხეირიანად ვერაფერი დავინახე.

მოვედით.

მამა-შვილმა ერთი გახედეს ვენახსა და მერე განზე გადგნენ. მე კი ვაზებში ვტრიალებ. საითაც გაიხედავ, საქმეა გასაკეთებელი, იქ კლანჭას ამოუყვია თავი, იქ ვაზის რქასა და მავთულშუა მტევანია ჩაჭედილი. ფრთხილად, ნელა გამომაქვს გარეთ, შვებას ვაძლევ. სად წავიდნენ ი ბიჭები, ეხლა კაცი ამ ვაზებს მოსცილდება? ნორჩი ფოთლისა და აქა-იქ გაშლილი მოლოზანას[1] სურნელით არის აქაურობა სავსე. ძალიან მომწონს ჩემი ვენახი, ლურჯად სივსივებს და შაბიამნიან ყლორტებში ნებანება ირწევიან ახლად გამოხორბლილი მტევნები.

წლეულ კარგი ამინდი იყო. დასამდური არ გვაქვს რა, უკლებლივ გამოიტანა მარცვალი, ვაზები დაზურკულები[2] დგანან. თუ ღმერთმა ინება და სეტყვამ არ წამოუშინა ან გვალვამ არ დახრუკა, კარგი მოსავალი მოგვივა, დამზადებასაც ჩავაბარებთ და ჩვენც საკმარისი დაგვრჩება.

ეხლა ჩემი ბიჭი მომიჯნეს ელაპარაკება. შაქრიკოც ჭერმის გრილოში დგას და ალაზნის ველსა და მთებს გაჰყურებს. წეღან ორივენი ერთად უყურებდნენ მთებს. რა ვიცი, თუ ეგრე მოსწონთ აქაურობა, რატო უფრო ხშირად არ ჩამოდიან სოფელში? რთველშიაც კი ხვეწნა უნდათ, ძლივს ჩამოვიყვანთ ხოლმე. ჩამოვიდნენ, კაცო, ღმერთი, რჯული, არაფერი გვეზოგება, არც მე და არც ჩემს დედაკაცს. ყურძენი მოარჩიონ, აჯაგნონ, ტკბილი მოადუღონ სათათარედ. იმ დროს ღელვები ზედა ლპება ხოლმე, მაშ არ უნდათ? დაკრიფონ, თონეში ჩაჰკიდონ, დედაკაცს რაღა შეუძლია, მუხლებს იტკიებს, თვითონ მოუარონ ყველაფერს, კაცო, ამით რა დაუშავდებათ! ცოტა ჩვენც წაგვახმარონ ხელი. თოხნაში და ფურჩნაში თუ არა, დაკრეფაში მაინც. თუმცა, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ვითომ, თოხნაში და ფურჩნაში რატომ აღარ უნდა მოგვეხმარონ გვარიშვილობა ჩამოერთმევათ თუ რა!

— მოდი ბიჭო, შაქრიკო, ორიოდე თოხის პირი დაჰკა, შვილო! — ისე გავძახე, ერთი რას იტყვის-მეთქი.

მოვიდა, პაპა ენაცვალოს, რამოდენა ბიჭია!

შაქრიკომ თოხი გამომართვა, ერთი-ორჯერ დაჰკრა და დააგდო. ხინვი შეერჭვა. ხელისგულს ჩააკვირდა, ფრჩხილებით ნიწკნა დაუწყო.

— აჰაი, მოერიე შაქრიკოსა? აბა, თუ ბიჭი ხარ, ამ გაშავრკინებულ ხელებშიაც შაძვერი! — შაქრიკოს გადაგდებულ თოხს დავწვდი და ხელისგული ავუსვ-ჩავუსვი ტარს, მინდოდა მომეცილებინა, თუ კიდევ სადმე ჰქონდა ხინვი, რომ ბიჭი არ შეებეზრებინა.

შაქრიკომ ხინვი მოიშორა და თოხი გამომართვა. ლონივრად კი დაჰკრა, მაგრამ კლანჭას მარტო თავი წააცალა, სხვა ვერაფერი მოუხერხა.

— მაგრე არა, შვილო, ცის ნამი რომ მოხვდება, იბლარტებს და ერთი ათასად იქცევა.

— მაშ როგორ, პაპავ?

— აი, ეგრე შვილო, ვაჩვენებ, თოხის წვერი გეზად უნდა მიუგდო, რომ ძირიანად ამოვარდეს და მზეზე გახმეს, ეგ ადრე და მალე გასახმობი იმ თავიდან ამ თავამდე გლეხიკაცის ჯანსა სჭამს!

მართლაც, კარგად მიხვდა შაქრიკო, იგრე კოხტად ამოყარა კლანჭები, იტყვი, გუშინაც გაუთოხნიაო. მერე კი გავიდა ვენახიდან, ალბათ მოსწყინდა.

მეც გული აღარ დამიდგა იქ. ეს ვაზები სად გამექცევიან, წავიდე, ცოტა ხანს იმათ ვუყურო-მეთქი.

შაქრიკოს ისევ მთებისაკენ აწყდება თვალები. დურბინდს რომ ეძახიან ეხლა იმით იყურება. ჩემი ბიჭიც ისევ მომიჯნეს ელაპარაკება. მერე რა ლაპარაკი იცის, რა სიტყვა-პასუხი აქვს, მარტო ყური უნდა დაუგდოს კაცმა! ნეტავ არ წასულიყო ქალაქში, აქ ემუშავნა, ჩვენ სოფელში საქმის მეტი რა არის! გული მეუბნება, მივიდე და რაც ბოლმა მიტრიალებს, ყველაფერი წამოვშალო. სიტყვის სათხოვნელად არსად არ წავალ, სათქმელი ზედ ენის წვერზე მადგას, მაგრამ ეს რა მომდის, პირი რამ გამიკერა, რატომ ვერ ვამბობ რამეს? თუმცა აბა, ეხლა რა ვუთხრა, როგორ გავუბრაზდე, როცა სიხარულით ლამის ფრთები შემესხას. ხან შვილს ვუყურებ, ხან შვილიშვილს და ქვეყანა ჩემი მგონია, ხალხო, აქ არიან, ვენახში!

---

[1] მოლოზანა — გვიან გამოტანილი ვაზის ყვავილი.

[2] დაზურკული — დახუნძლული, კარგად მსხმოიარე.



... სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მისი მეოთხმოცე გაზაფხული



ჩვენი სცენის მშვენება თინათინ ლვინიაშვილი სიცოცხლის მეოთხმოცე წელიწადს შეეგება, შეეგება წელში გამართული, როგორც მიმდინარე შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთი ბურჯთაგანი, რომელზეც ეყრდნობა ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის ღირსება და წარმატებები.

მაყურებელი დღესაც აღტაცებით უკრავს ტაშს მის პელაგიას (დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება"), დედას (გ. ბათიაშვილის „ვალი"), ფატი გურიელს (ალ, ჩხაიძის „შთამომავლობა")...

სულ პატარა გოგონა იყო, თელაველ სცენისმოყვარეთა წრეში რომ მიიღეს, პროფესიულ სცენაზე კი გზა დიდმა ლადო მესხიშვილმა დაულოცა!

1922 წელს თ. ლვინიაშვილი რუსთაველის თეატრთან არსებული სტუდიის მსმენელი ხდება. ერთი წლის შემდეგ, რეორგანიზაციის გამო, სტუდიამ არსებობა შეწყვიტა და თინაც, იუზა ზარდალიშვილის დაჟინებით, ქუთაისის თეატრში მიდის სამუშაოდ. იმ სეზონებში (1923-24, 1924-25 წლები) თეატრს იუზა ხელმძღვანელობდა. თინათინ ლვინიაშვილი თითქმის ყველა სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებდა. ეს სეზონები, საერთოდ, განსაკუთრებული იყო ქუთაისის თეატრისათვის, მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ერთგვარ სენსაციად იქცა ს. შანშიაშვილის „ლატავრას" დადგმა. ამ სპექტაკლისათვის საგანგებოდ დამზადდა ახალი დეკორაციები, შეიკერა კოსტუმები, შეიქმნა რეკვიზიტი. ამ სპექტაკლის მაყურებელთა მოგონებები და რეცენზიები ერთხმად აღიარებენ, რომ ი. ზარდალიშვილმა შექმნა შესანიშნავი სპექტაკლი, პატრიოტული გრძნობებით აღსავსე, მიმზიდველი თეატრალური სანახაობა, რომლის სული და გული იყო თ. ლვინიაშვილის — პირველი საუცხოო ლატავრა ქართულ სცენაზე! (იმავე სეზონში — ორი კვირის შემდეგ „ლატავრა" რუსთაველის თეატრშიც დაიდგა). გაზეთი „კომუნისტი" წერდა: „საუცხოო იყო ლატავრა — თ. ლვინიაშვილი, შეუდარებელი ინკუბუსია — ი. ზარდალიშვილი, ჩინებულნი არიან სამი ძმის როლებში — ა. ყალაბეგიშვილი, დ. ძნელაძე, ჭ. აბაკელია, კარგი ენგიჩარია ა. მურუსიძე".

1926 წლიდან თ. ლვინიაშვილი რუსთაველის თეატრის დასშია, და თავის დასთან, ნინოსთან ერთად, თავიდან ბოლომდე ინაწილებს დიდი რეჟისორის ს. ახმეტელის თეატრალური სეზონების სიხარულსა და მწუხარებას. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის წლები იყო მთელი ქართული თეატრისათვის, ცხადია, თ. ლვინიაშვილისათვისაც დიდი ახმეტელის გვერდით ყოფნა ნიშნავდა ახალი სასცენო ხელოვნების იდუმალებათა წვდომას, პროფესიულ დაოსტატებას, ცოდნის შეძენას. თინათინ ლვინიაშვილის მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე შექმნილ სახეთაგან აღსანიშნავია დედოფალი (შექსპირის „ჰამლეტი), ნინა (იალცევის „ღვარძლი"), ჰერტრუდა (შილერის „ვილჰელმ ტელი"), ნინა (კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს") და სხვ. მისი დიდი გამარჯვება იყო „რღვევაში" ტატიანას როლის განსახიერება. მით უმეტეს, რომ იგი, მოულოდნელად, რამდენიმე რეპეტიციით შეიყვანა სანდრო ახმეტელმა სპექტაკლში და... წარმოდგენის შემდეგ თავისი ხელით მიართვა ყვავილების კალათა და გადაკოცნა. ეს ყველაზე დიდი ჯილდო იყო; რისი მიღებაც მსახიობს შეეძლო... შემდეგ ქალიშვილმა მშობლიურ კახეთს მიაშურა: სამიოდე სეზონი სიღნაღის, თელავისა და ველისციხის თეატრებში დაჰყო. 1938 წელს კი, როცა ქუთაისში აღსდგა სამი წლის განმავლობაში მდუმარე თეატრალური ცხოვრება, თ. ლვინიაშვილი ქუთაისში ჩავიდა და დაემკვიდრა კიდეც. მას შემდეგ 42 წელიწადი გავიდა.

მართალია, თ. ლვინიაშვილი ქუთაისის სცენაზე საკმაო გამოცდილებითა და ოსტატობით აღჭურვილი მოვიდა, მაგრამ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა საბოლოოდ აქ ჩამოყალიბდა. მის მიერ ამ სცენაზე განხორციელებულ ასორმოცდაათამდე როლიდან ბევრი შევიდა სცენურ სახეთა იმ ოქროს ფონდში, რომელიც წლების მანძილზე განსაზღვრავდა ქუთაისის თეატრის შემოქმედებითს სახეს, ქმნიდა ამ თეატრის აქტიორულ სკოლას.

როგორია თ. ლვინიაშვილი სცენაზე?

როგორც ამბობენ ხოლმე, თეატრი მისთვის წმიდა ტაძარია, თეატრალური ხელოვნება — სარწმუნოება. ის თავის თავს ამ ტაძრის კულტის მსახურად მიიჩნევს, მუდამ პროფესიულ დონეზე, მუდამ შემართული,



„ოტელო" — დეზდემონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ დიდი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, თუნდაც ეპიზოდში, უსიტყვო როლში გამოდიოდეს... რაკი სცენაზეა, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდ საქმეს ემსახურება, ამიტომ ჯერ არავის უნახავს თ. ღვინიაშვილი სცენაზე „უსაქმოდ", „უმოქმედოდ", მოდუნებული, „სამსახურში" მყოფი... ახლაც, მეოთხმოცე წელში გადამდგარი, თეატრში ყველაზე ადრე მოდის, მიუჯდება საგრიმიორო მაგიდას, წინასწარ დაათვალიერებს სცენას, კულისებს, რათა დაიმუხტოს სპექტაკლის განწყობილებით და შინ ყველაზე გვიან მიდის, რადგან უნდა მოიხსნას გრიმი, უნდა „გათავისუფლდეს", განიმუხტოს სცენისაგან და ასე იყო მუდამ, ასე გრძელდება უკვე სამოცი წელიწადია...

ბუნებამ მშვენიერი გარეგნობა მისცა თინათინს.

ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა მის დეზდემონას, ცაბუს, ამალიას, ზეინაბს, ქეთევანს... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ამასთან, მაყურებელი იხიბლებოდა თინათინის დიდი პროფესიული ოსტატობით, გარდასახვის უნარით, აქტიორული კულტურით, სცენური სიმართლით, სინამდვილის ნატურალისტური იმიტაციით კი არა, ნამდვილი თეატრალობით. თინათინის პირველი როლი, რომლითაც მან სახელი გაითქვა, ქრისტინე იყო (პ. ირეთელის პიესა, ე. ნინოშვილის „ქრისტინეს" ინსცენირება).

ქუთაისის თეატრის სცენაზე ბევრი ლამაზი, ამაყი, ნაზი, მშვიდი, მხიარული, ნაღვლიანი, მებრძოლი, ყოველი ადამიანური ავ-კარგით შემკული ქალიშვილი დედა და ბებია გაუცოცხლებია თ. ღვინიაშვილს. მის მიერ განსახიერებულ გმირთა უმრავლესობა ბედთან შეურიგებელი მებრძოლი ქალია, ზნემაღალი და აღმაფრთოვანებელი. მას თითქოს არც ეხალისებოდა სალონური — მინაზებული ლამაზმანების თამაში, გმირული, რომანტიკული პათოსი უფრო იზიდავდა. მის გმირ ქალებს, თითქმის ყოველთვის ახლდა სწორედ ეს პათოსი, მაშინაც კი, როცა სცენარში ტრადიციით ისინი ჰაეროვან, უნაზეს ფერიებად იყვნენ წარმოსახულნი. ასე ითამაშა, მაგალითად, თ. ღვინიაშვილმა დეზდემონა, ითამაშა დიდ ალ. იმედაშვილთან. იმედაშვილის ოტელო — ჭაბუკი, გულღია და მხიარული მიჯნური, როდია, იგი გულჩახვეული, უკვე ხანდაზმულობაში გადასული რაინდია, რომლისთვისაც დეზდემონა გახდა „უკანასკნელი სიყვარული, ნეტარება და უიმედობა", მის სევდიან გამოხედვაში ნაკლებად გამოსჭვივის ბედნიერება. სიტყვა-პასუხი უბრალო აქვს, მშვიდი, მეტყველი, რომანტიკულობით და სიბრძნით სავსე... სწორედ ამით მოხიბლა მან დეზდემონა.

როგორი უნდა იყოს ვენეციელი გოგონა, ასეთი ოტელო რომ შეიყვაროს?

პირველ ყოვლისა, შინაგანად გმირული სული უნდა ჰქონდეს, მამაცი და შეუდრეკელი უნდა იყოს, რათა გადალახოს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, რასობრივი და სოციალური ზღუდეები, არც წლოვანებას მიხედოს, „არც თვის ბუნებას, მამულს, სახელს, სრულად არარას" და შეიყვაროს ის, „ვისი დანახვაც შიშის ზარს სცემდა"... დეზდემონას ეს მებრძოლი თვისება, სპექტაკლის პირველსავე სცენაში გამოამჟღავნა თინათინ ღვინიაშვილმა. მისი დეზდემონა ნამდვილი შექსპირული სახე იყო, ღრმად გააზრებული და დიდი რუდუნებით გამოძერწილი.. .

„ნაპერწკლიდან" — ასე ჰქვია შალვა დადიანის ცნობილ პიესას, რომელშიც ასახულია, საქართველოს მუშათა და გლეხთა მასა ცხრაასიანი წლების დიდ პროლეტარულ რევოლუციურ მოძრაობაში. თ. ღვინიაშვილი ამ სპექტაკლში ცაბუს როლს ასრულებდა. რევოლუციონერი მუშის, ულიშუქის ცოლი, სოფლიდან ახლახან ჩამოსული, ძიძად მიიწვიეს ბათუმის საბაჟოს უფროსის, ზიკოვის ოჯახში. ცაბუ კრძალვით შეჰყურებს გარეგნულად მოელვარე „მაღალ საზოგადოებას" — ტოვებს ამ ბუნაგს და ბრძოლის ველს მიაშურებს. მაყურებელი ოვაციას მართავდა, როცა თინათინი-ცაბუ, მესამე მოქმედების ფინალში, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ზიკოვთა კლასს...

მაყურებელი გულწრფელად ბობოქრობდა მაშინაც, როცა თინათინი-ზეინაბი ოთარბეგს თვალს აუხელდა და საბრძოლველად ამხედრებდა... და ეს გრძელდებოდა სამოცი წლის მანძილზე...

ასე გრძელდება დღესაც...

სცენაზეა ალ. ჩხაიძის „შთამომავლობა"... ეს პიესა, პირველად, ქუთაისში დაიდგა, თინათინ ღვინიაშვილი ქართულ სცენაზე ფატი გურიელის როლის პირველი ღირსეული შემსრულებელია.

მაღალი, მოხდენილი ,ამაყი, ზვიადი, ლამაზი, ბავშვურად გულუბრყვილო და ბრძენი პირველივე ხილვით რომ მოგინადირებს და მოკრძალებით გაგმსჭვალავს — ასეთია თინათინ ღვინიაშვილის ფატი გურიელი.

მაყურებელი, რომელიც ახლოს არ იცნობს თ. ღვინიაშვილს, არაფრით არ იჯერებს, რომ ფატი გურიელივით ისიც მეოთხმოცე წელში გადადგა. მისი ფატი ისეთი მხნე, ისეთი მძლავრი, ისეთი სრულქმნილი ეროვნული სახეა, რომ იგი დიდხანს ეხსომება მადლიერ მაყურებელს. დიახ, თ. ღვინიაშვილის ფატი გურიელი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი უბერებელია, ჟამთა სვლას ხელი არ აქვს სულის სიჭაბუკესთან, სიკეთესა და მშვენიერებასთან.

მან თეატრს შესწირა ყველაფერი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, შესწირა ქმარიც, შვილიც, სიცოცხლეც... თეატრმა იცის ამგვარ შვილთა ყადრი და აკი დღესაც ამაყობს ქუთაისის თეატრის დღევანდელობა ამ ჭაბუკური სულის უშრეტი ენერგიით! მაყურებელმაც იცის ფასი ჭეშმარიტი მოღვაწისა — სითბოსა და სიყვარულს არ აკლებს ნამდვილ სახალხო და საერო მსახიობს, რომლის სიცოცხლის ყოველი წუთი თავისი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ იხარჯება.

სერგო ჭეიშვილი



„უკანასკნელი რაინდი" — თამარი

„ამბავი ერთი სიყვარულისა" — მარიამი



ეროვნული ბიბლიოთეკა



გივი ყირმელაშვილი

# კიდევაც დაიზრდებიან

— ეს ჩვენს ბოკვერებსა და ლომგულა ბიჭებს გაუმარჯოს! — აქ თამადამ პაუზა გააკეთა, კიდევ ერთხელ შეათვალიერა მასპინძლის ლოყებღაჟღაჟა ბიჭები, ლიტრიან ყანწს ხელი მოუნაცვლა და განაგრძო:

—დიახ, ჩვენს ბოკვერებს გაუმარჯოს, რომელთა შემყურეს სრული უფლება მაქვს ვთქვა:—კიდევაც დაიზრდებიან... ენაწყლიანმა თამადამ იმდენი ილაპარაკა საქართველოს გმირულ წარსულზე, რომ კინაღამ თვითონაც იტირა და სხვებიც ატირა.

ბედნიერი და გულაჩუყებული მშობლები სიხარულს ვერ ფარავდნენ, მამას თვალები უბრწყინავდა, დედას კი სიამაყის ცრემლი უციმციმებდა, მასპინძლის სახეგაბადრულ ბოკვერებს: 17 წლის მართლაც ტანად ჭაბუკს ორმაგ ღაბაბზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ერთი ხელით უკვე დასველებული ცხვირსახოცით შუბლს იწმენდდა, მეორე ხელით კი რუმბივით წამომჯდარ ღიპზე ჩამოცურებულ სპორტულ შარვალს ისწორებდა. უმცროსი 14 წლის ლოყებღაჟღაჟა ჭაბუკი არაფრით ჩამოუვარდებოდა უფროს ძმას, მასაც ეტყობოდა, რომ მადაც კარგი ჰქონდა და არც ნოყიერი საკვები აკლდა...

„კიდევაც დაიზრდებიან"... ჩამესმა თამადის სიტყვები.. დაიზრდებიან კი?... გავიფიქრე ჩემთვის...

ჩემს ახლო ნათესავს პატარა მაიკოს ადრე აღმოაჩნდა მუსიკალური ნიჭი. აღტაცებული მშობლები მისი ნიჭის გასაღრმავებლად ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ნორჩი მუსიკოსიც დღეში ექვს საათს როიალს უჯდა. 10 წლისას მაიკოს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

ყოველთვის მიხაროდა ამ პატარა გოგონასთან შეხვედრა, მაგრამ მისი გამოხედვა ჩემში რაღაც გაურკვეველ გრძნობებს იწვევდა, მიზეზს კი ვერ მივხვედრილიყავი.

უბედურება მოულოდნელად დაატყდა ოჯახს, მაიკოს ჯანმრთელობა იმდენად საგანგაშო შეიქმნა, რომ იგი რამდენიმე თვით ოჯახსაც მოსწყდა და მუსიკასაც. დასუსტებულმა ორგანიზმმა ვეღარ გაუძლო სკოლის, მუსიკისა და ენების შესწავლით გამოწვეულ დიდზე დიდ დატვირთვებს.

როდესაც პატარა მაიკო საავადმყოფოში მოვინახულე მაშინღა მივხვდი რა მაშფოთებდა; გოგონას ნაღვლიან თვალებში დაკარგული ბავშვობა დავინახე...

ეს ორი მაგალითი საგანგებოდ მოვიტანე.

მოდით გავერკვეთ რა ხდება, რაშია საქმე?

ერთის მხრივ ყველა თვალნათლივ ვხედავთ, რომ აქსელერაციის შედეგად მოზარდებმა ზომა-წონაში საგრძნობლად მოიმატეს, მეორეს მხრივ კი საგანგაშო ხმები ისმის, მოზარდების ჯანმრთელობას დიდი საფრთხე ელისო.

პასუხი შარშან მოსკოვში გამართულმა ევროპის ქვეყნების პედიატრთა პირველმა კონფერენციამ გასცა, რომლის დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი — „მოზარდის ჯანმრთელობა" იდგა.

ამ კონფერენციაზე დამაჯერებლად ითქვა, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში მოზარდებმა საგრძნობლად მოიმატეს სიმაღლეში და წონაში. სამაგიეროდ ზომა-წონის მომატებას ჩამორჩა მათი საერთო ფიზიკური განვითარება. ასე, მაგალითად, ეს მაჩვენებლები 1948 წელთან შედარებით თითქოს 2,5-ჯერ გაუარესდა (!)...

ისევ კითხვა — რა ხდება?... რაშია საქმე?...

ტექნიკური პროგრესის შედეგად ადამიანების საყოფაცხოვრებო პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა. ლიკვიდირებულ იქნა მთელი რიგი ინფექციური და სხვა ავადმყოფობა, გაუმჯობესდა ჩვენი ეკონომიკური, ჰიგიენური, სოციალური და კულტურული პირობები, ამავე დროს აშკარად ვხედავთ მოზარდების საერთო ფიზიკური განვითარების აშკარა გაუარესებას... ყველაზე სავალალო მაინც ის არის, რომ მოზარდების ჯანმრთელობის გაუარესების აშკარა ტენდენცია არსებობს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოზარდთა საერთო ფიზიკური განვითარების საშუალო მონაცემები საგრძნობლად ჩამორჩება საკავშირო მაჩვენებლებს. ახლა დავიანგარიშოთ ავადმყოფობით გაცდენილი ათეულ ათასობით გაკვეთილ-საათი, საუკეთესო ექიმებისა და უცხოური აბის ძებნაში დაკარგული დრო, ენერგია, ნერვები, ფულადი სახსრები და სხვა...

ყოველივე ამას ლაპარაკობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, თუმცა რად გვინდა სტატისტიკა ან სხვისი ახსნა-განმარტება, როდესაც ყოველივე ზემოდთქმულში თვალ შეგვიძლია დავრწმუნდეთ.

ძვირფასო მშობლებო, მოუსინჯეთ შვილს მკლავის ძალა, შეამოწმეთ, იცის თუ არა სირბილი, ხტომა, ხეზე ასვლა, ცურვა?..

ზოგმა იქნებ თქვას, რად უნდა ჩემს შვილს ყოველივე ეს, იგი ხომ მეცნიერებას ეუფლება, იცის ენა, მუსიკაშიც კარგად ერკვევაო. გეთანხმებით ყოველივე ეს კარგზე კარგია, მაგრამ განა ყოველივე ზემოდხსენებულ სიკეთესთან ერთად კარგი ჯანმრთელობა ვინმეს ავნებს? განა ჯანმრთელობაზე ძვირფასი და სანუკვარი არსებობს კიდევ სხვა რამ?

ოდითგანვე უდიდესი ადამიანები განა ტანის სილამაზეს არ უმღეროდნენ? მარტო დიდი ჰაინრიხ ჰაინეს ნათქვამი რად ღირს: „ერთად ერთი სილამაზე, რომელიც მე მწამს ჯანმრთელობაა"...

მაშ ჩვენ რაღა მოგვივიდა, ნუთუ მშობლიურმა სიყვარულმა ისე დაგვაბრმავა, რომ ვეღარ ვხედავთ წელში მოხრილ-მოკუზულ ან უზომოდ ჩაჯუპატებულ, ჩაბუჟბუჟებულ ჩვენს შვილიკოს, რომელიც ვერც საკუთარ ტანს ერევა და ვერც თანატოლს ეჭიდება? განა ჩვენ არ ვართ, რომ ცივ ნიავს არ ვაკარებთ და ისედაც ჩაზულუქებულ შვილიკოს საჭმელს უზომოდ ვატენით?! განა ჩვენ არ ვართ, რომ შვილს ყველა მანქანებით 45 წუთიან სკოლის ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებიდანაც კი ვათავისუფლებთ?!.. ასეთთა რიცხვი კი ყოველწლიურად პროგრესულად მატულობს...

ამავე დროს განა ჩვენ არ ვართ, რომ შვილის გადასარჩენად საკუთარ სიცოცხლეზე ისე ავიღებთ ხელს, რომ წუთს არ დავფიქრდებით?! ანდა ქვეყანას შევძრავთ პირმშოს გამოსაჯანმრთელებლად?!..

მაშ რატომ ვიხდით საქმეს სადავიდარაბოდ, რატომ აგვიცრუვდა გული ფიზიკურ წრთობაზე, რატომ ხელვყავით ყველაზე სანუკვარი, ყველაზე ძვირფასი — ჩვენი მოზარდების ჯანმრთელობა?!

სად გაგონილა ახალგაზრდა კაცის ინფარქტი, ნერვული, ფსიქიკური მოშლილობა, ათასნაირი ალერგია და სხვა მრავალი „მოდური" და თანამედროვე ავადმყოფობა?

ხელიდან გვეცლებიან სრულიად ახალგაზრდა ახლობლები და მეგობრები, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მათი შემოქმედებითი, გონებრივი და ფიზიკური აღმავლობის წლები დგება. რატომ, რისთვის, ვის სჭირდება ასეთი უაზრო მსხვერპლი?!

ძვირფასო მშობლებო! — იცის თუ არა თქვენმა შვილმა ცურვა? — არა, არ იცის! იცით კი, რას ნიშნავს ცურვა? — ცურვა ტანის სილამაზე, ფიზიკური სრულყოფა და სიცოცხლეა — დიახ, სიცოცხლე, იმიტომ რომ მოსალოდნელი ხიფათისაგან დაზღვეული არავინ არის. განა არ კმარა ყოველწლიურად მარტო თბილისის წყალსაცავებზე დაღუპული ათობით მოზარდის სიცოცხლე? ნუთუ არაფერს გვეუბნება დიდი სამამულო ომის დროს ქერჩში დაღუპულ ათასობით თანამემამულეთა ხსოვნა? ნუ დავმალავთ სინამდვილეს, ნუ შევაფერადებთ ფაქტებს, ამით მათ ნათელ ხსოვნას არ შევურაცხყოფთ... პირიქით, მათ ტრაგიკულ მაგალითზე თითოეულ ჩვენთაგანს შვილისთვის ცურვა უნდა ესწავლებინა, ჩვენ კი...

ნუთუ ხელს გვაძლევს შეფარდება 10:1-ზე?... თბილისში 10 მოზარდიდან ცურვა მხოლოდ ერთმა იცის (!) ე. ი. ცხრის სიცოცხლეს საფრთხე ელის...

ძვირფასო დედებო და მამებო! მკრეხელობად ჩაგვეთვლება, ვინმემ რომ ოდნავ ეჭვი შეიტანოს შვილის სიყვარულში, მაგ-

რამ მაპატიეთ და.. (ერთხელ ხომ უნდა ითქვას სათქმელი) განა ჩვენ არა ვართ, რომ სადირექტივო ორგანოთა მრავალრიცხოვანი დადგენილებების მიუხედავად მიკრორაიონებს, ახალ უბნებს მაღალსართულიან სახლებს ყოველგვარი სპორტული მოედნების გარეშე რომ ვაშენებთ?!

საკუთარი შვილისა და ერის წინაშე განა ეს დანაშაული არ არის?! განა თქვენ ჩვენზე უკეთ არ იცით, რომ ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანებს დიდ სიკეთესთან ერთად დიდი უბედურებაც მოუტანა, მოძრაობითი აქტივობის დაქვეითება დღეს ნომერ პირველ პრობლემად იქცა.

განა ჩვენ არ ვართ, რომ გულგრილად ვუყურებთ ჩვენი ქარხნის, წარმოების, სკოლის ეზოს გაპარტახებულ სპორტულ მოედანს.. ანდა რკინა-ბეტონში ჩამჯდარ ცათამბჯენილ სახლებს შორის მოქცეულ შაურიანის ტოლა სპორტულ მოედანს, ისე გადავაკეთებთ გარაჟებად, თვალს არ დავახამხამებთ!

განა ჩვენ არ ვართ, ასჯერ რომ ჩავუვლით გვერდით და ერთხელაც არ გაგვახსენდება ჩვენი საწარმოს, ერთ დროს საუკეთესო სპორტული მოედნის არსებობა ან საწყობად გადაქცეული საცურაო აუზის განახლება?! ანდა ჩვენივე სასწავლებლის საუკეთესოდ მოწყობილი საგნობრივი კაბინეტების გვერდით, უპატრონოდ მიტოვებული სპორტული დარბაზი, გაკვეთილების შემდეგ ცარიელი სპორტული მოედნები და კვირა დღეს გამოკეტილი კარები...

განა ჩემი და შენი მეზობლებისათვის ძნელია, ერთი მცირე ზომის კალათბურთის ფარის ან მინი ფეხბურთის კარების დადგმა? რა უნდა დაუჯდეს ყოველივე ეს ასბინიან სახლს?

უკუგება ხომ ასმაგი იქნება, თუმცა სად გაგონილა ჯანმრთელობის შეფასება, არსებობს კი მისი საფასური?...

სწორედ ამიტომ, ჩემო კარგო მშობელო, მართალია შენ უაღრესად დაკავებული და იქნებ თანამდებობის პირიც ხარ, (ასაკს აბა რა მნიშვნელობა აქვს), მაგრამ მოდი და კვირაში ორჯერ ყველაფერი გვერდზე გადადე, მეგობართან, მეზობელთან და საკუთარ პირმშოსთან ერთად მოედანზე გამოდი. სხვა რომ არაფერი, ერთიორჯერ ბურთს ფეხი მოუქნიე, ახალგაზრდობაც გაიხსენე და შვილიც გაახარე. მერწმუნე ამის შემდეგ შვილს ქუჩისთვის ნაკლები დრო დარჩება და შენს მეობასაც მეტად ირწმუნებს.

მაღალსართულიანმა და კარჩაკეტილმა ბინებმა ეზოც დაგვაკარგვინა და მეზობლებიც. განა მთელი თაობები ჩვენს ეზოებში არ იზრდებოდნენ, განა აქ არ ეყრებოდა საფუძველი ინტერნაციონალიზმსა და მეგობრობას, ვაჟკაცობასა და ურთიერთ სიყვარულს?... განა აქ არ იზრდებოდნენ „ღიმილის ბიჭები“.

ჩვენ ეზოს გავურბივართ, ქუჩა კი არ თვლემს, მოგვეძალა და ხშირად გვჯობნის კიდეც... (ნურც ამაზე დავხუჭავთ თვალს).

მაპატიე, ჩემო მეგობარო, ასე რომ მოგმართავ. მაგრამ რა ვქნა, მეც შენსავით მშობელი ვარ და შენსავით მაღელვებს ჩემი, შენი შვილებისა და ერის მომავალი. შენ ხომ გიყვარს სილაღე და მოძრაობა, ჯანმრთელობა და სპორტი, მაშ რატომ არაფერს აკეთებ შენი ქარხნის, წარმოების, სკოლის ეზოში თუნდაც ერთი სპორტული მოედნის ასაგებად... შენ ხომ ხელთ გაქვს საკმაო რაოდენობით უმაღლეს ორგანოთა საუკეთესო დადგენილება? არ აკეთებ იმიტომ, რომ, მას პრინციპულად არავინ გთხოვს. ეს მხოლოდ შენს გაგებაზეა და სპორტის სიყვარულზეა დამოკიდებული... სულ სხვა საქმეა გეგმის შესრულება. რატომ არ ფიქრობ, რომ რაც უფრო ჯანმრთელი კოლექტივი გეყოლება, მით უფრო მაღალი იქნება შრომისუნარიანობა და უკუგებაც პროცენტებში ათმაგად გაზრდილი დაგიბრუნდება, ამავე დროს შენდამი პატივისცემაც მეტი იქნება, რადგანაც გაჯანმრთელებისათვის ხალხი მხოლოდ მადლობას გეტყვის. მაშ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები შენი თანამშრომლებისა და წარმოების კეთილდღეობისათვის დანიშნულებისამებრ დახარჯე.

ჩემო კეთილო მშობელო, ისევ და ისევ მოგმართავ! შენ ხომ პირველ რიგში აღმზრდელი ხარ, აღზრდა კი, ჩემზე კარგად მოგეხსენება, ერთიანი რთული, დინამიკური და ჰარმონიული პროცესია, სადაც ნებისმიერი კომპონენტის ამოვარდნა ყოვლად დაუშვებელია, სწორედ ამიტომ, ძვირფასო მამებო, დედებო, ხელმძღვანელებო, თანამდებობის პირებო და უბრალოდ მოქალაქენო, რატომ არ ვასრულებთ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, თუმცა რად უნდა შენი და ჩემი შვილების ჯანმრთელობაზე ზრუნვას მთავრობის სპეციალური დადგენილება?!

სპორტული ბაზების სიმცირეს ვუჩივით, მაგრამ ეს დალოცვილი ჩვენი მადლიანი მიწა სულ სტადიონი არ არის?! განა ფიზიკურ წრთობას და გაჯანმრთელებას აუცილებლად სპორტული დარბაზი უნდა?! ფეხით გავლას სტადიონი რად უნდა... სამწუხაროდ, ადრინდელისაგან განსხვავებით, თბილისის შემოგარენშიც იშვიათად ნახავთ ფეხით მოსიარულეთა ჯგუფებს, სამაგიეროდ იმატა მანქანებით საპურმარილოდ ამოსულთა რიცხვმა.

სულ ახლახან, ა. წ. იანვარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებოდ იმსჯელა ამ საკითხებზე და გამოიტანა დადგენილება მოსახლეობის ფართო ფენებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე. ეს უაღრესად საჭირო და დროული დოკუმენტია.

ახლა სიტყვა თქვენზეა, ძვირფასო თანამოქალაქენო, ვისაც ესმის, ვისაც გული შესტკივა და აღელვებს ჩვენი შვილების და ერის მომავალი, თუნდაც ერთი კალათბურთის ფარი ან მინი ფეხბურთის კარები დადგას ისევ და ისევ საკუთარი შვილის საკეთილდღეოდ.

ეს ჩემი, შენი, ყველას საქმე და ერის საერთო სატკივარია...

# მკითხველთა კონფერენციები

ქ. გორში სტუმრად იყვნენ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის მუშაკები.

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის და ბამბეულის საწარმოო გაერთიანების დასახლების მიკრორაიონის საბჭოს ინიციატივით გაიმართა ჟურნალის მკითხველთა კონფერენცია.

კონფერენციაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. მაყაშვილმა.

აზრი გამოთქვეს: ბამბეულის საწარმოო გაერთიანების დასახლების მიკრორაიონის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ნოზაძემ, დასახლების მედსანნაწილის გამგემ თ. თაყაიშვილმა, მწერლებმა ჯ. ინჯიამ, ი. ჩადუნელმა, სკოლის დირექტორმა მ. აბუაშვილმა, ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა ნ. გეგელიამ, პედაგოგმა ე. კილაძემ, № 2 სართავი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ი. ლაპიაშვილმა, გაზეთ „გამარჯვების“ პასუხისმგებელმა მდივანმა ლ. ჭანკოტაძემ.

ორატორებმა განიხილეს: ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული პოეზია და პროზა, სწავლებისა და აღზრდის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, ილაპარაკეს ჟურნალის იდეურ-მხატვრულ დონეზე...

რედაქციის მუშაობაზე ისაუბრა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორმა მარიკა ბარათაშვილმა.

თეთრი წყაროს რაიონის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რაიონულმა განყოფილებამ ქალთა საბჭოსთან ერთად ასურეთში მოაწყო მკითხველთა კონფერენცია დევიზით: „საქართველოს ქალი“ ჩვენი მეგობარია“.

სიტყვები წარმოთქვეს: შ. ბაციკაძემ, ქ. ცხვედიანმა, ე. ჭიკაძემ, კ. კობახიძემ, რ. ნათიძემ, კ. კობახიძემ, კ. წულუკიძემ, ვ. გოგილიძემ, ისინი შეეხნენ იმას, თუ როგორ აშუქებს ჟურნალი მშრომელთა ცხოვრებასა და შრომას, აგრეთვე ახალგაზრდობის აღზრდის, მორალის, სამართლებრივ და სხვა საკითხებს.

მკითხველთა კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ჟურნალის რედაქტორმა მარიკა ბარათაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა











# ვარდების ფანტაზიო-რები

შემოდიხართ ამ სიმყუდროვეში და უმალვე გავიწყდებათ, რომ სადღაც აქვე, ღობის მიღმა დედაქალაქია, თავისი მღელვარე ცხოვრებით, მზესმიფიცხებული მრავალსართულიანი სახლებით, აქოშინებული მანქანებით... გავიწყდებათ, რომ გადაუდებელი საქმის გამო სადღაც მიგეშურებოდათ და აქ მხოლოდ ვალის მოსახდელად, ამ ბაღის დიასახლისის დაჟინებული თხოვნით შემოხვედით. გავიწყდებათ, რადგან ჭიშკარში ფეხი შემოდგით თუ არა, თითქოს უხილავმა ხელმა ყოველდღიური ზრუნვით დამძიმებული ჩანთა ჩამოგხსნათ მხრებიდან.

სულ მცირე ტერიტორია ყვავილთა დიდ სამოსახლოდ ქცეულა. ყველგან ყვავილებია: მიწაზე, კუნძებზე, ქვებზე... ვინ იცის, საიდან სად მოსული, უძვირფასესი ჯიშის ყვავილები! და ყველა მათგანი, ფეხის წვერებზე წამოწეული, თავისკენ გიხმობთ. ყვავილებით სავსე კალათები ხის ქვეშ, ხეზე, ჰაერშიც კი აფრენილან — მავთულების საქანელაზე.

აქ ყოველ კუთხე-კუნჭულს თავისი დანიშნულება აქვს. ერთადერთი კუთხე სამამულო ომში დაღუპულთა მოსაგონარია. სხვადასხვა ქვეყნიდან ომგადახდილ გზებზე გაფანტულ საძმო საფლავებიდან მუჭა-მუჭად ჩამოტანილ მიწაზე შავადშებოლილი, სიცოცხლეშემოძარცვული შიშველი ტოტები ერთმანეთს მიყრდნობია. ხელში ნაომარი, ეული კასკა უჭირავთ. მათ ფერხთით კი, არდავიწყების სიმბოლო — აგავა განრთხმულა და თითქოს ჭრილობებიდან დადენილი სისხლიაო, წითლად ბრდღვიალებს კალანხოე...

იქვე, ვაზებით გადაწნულ „ხიდქვეშ“, მოკენჭილ კალაპოტში ერთი ბეწო რუ მოწანწკარებს; ოდნავ მოშორებით, ტალავერქვეშ ჭური წევს, დოქები და გოდრები რთვლის მოლოდინში ნებივრობენ.

ამ ყვავილნარს ხის პატარა, გემოვნებით გაფორმებული და მორთული საგარაკო სახლი გადმოსცქერის. ერთადერთი, რაც აქაურ მყუდროებას არღვევს, ფრინველებია. — ყვავილნარს რომ შემოჩვევიან და, მისი ფერადოვნებით მოხიბლულები, ერთმანეთს „ვოკალურ“ ხელოვნებაში შეჯიბრებიან, თუმცა ბულბულს ამ „ესტრადაზეც“ ვერავინ ჯობნის.

ყვავილები, ყვავილები... აღარ იცით, რომელ მათგანზე შეაჩეროთ მზერა, რომელ კუთხეში შეჩერდეთ, ვარდის რომელი ფანჩატურის ძელსკამზე ჩამოჯდეთ... მთავარი კი ის არის, რომ ყვავილთა ეს სამყარო უბრალოდ, მშვიდად შემოდის თქვენი მზერის არეში და სულისაკენ მიიკვლევს გზას...

და ყოველივე ამ მშვენიერების შემოქმედი ქალია, დიდი ენერგიისა და ნატიფი გემოვნების მხატვარი — დეკორატორი ქ-ნი თინათინ ხარაძე.

ეცნობით მის შემოქმედებას და ერთხელ კიდევ რწმუნდებით, თუ რა შეუძლია საქმის სიყვარულს, მონდომებასა და ადამიანებივით გებრალებათ აქა-იქ უყურადღებოდ დარჩენილი, უფერული ეზოები.

მართალია, თბილისში ბევრი ეზო-ბაღია დიდებული, თავმოსაწონი, რამდენიმე მათგანზე (მაგალითად, ცნობილ ბუკიას ბაღზე) ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ახლა, როდესაც ასეთი ლტოლვაა ქალაქების გამწვანება-გამშვენიერებისაკენ, ძნელია შეურიგდეთ რომელიმე ეზოს, რომელიმე კუთხის უფერულობას.

ამიტომ დააჯილდოვა ჩვენმა რედაქციამ „ღიმილის პრიზით“ ქ. თბილისში, შმიდტის ქუჩაზე მდებარე პატარა ეზო-ბაღის დიასახლისი ქ-ნი თინათინ ხარაძე და ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე ბაღის გამშენებელი და მომვლელი ქ-ნი ლეილა ბუკია. დააჯილდოვა იმ იმედით, რომ მომავალი ყვავილების დღესასწაულებისათვის ეზო-ეზოს შეეჯიბროს და „საქართველოს ქალსაც“ მეტი ჰყავდეს ღიმილისა და სილამაზის პრიზიორი და მარტო ჩვენს დედაქალაქში კი არა—მთელ რესპუბლიკაში.

**მარიამ ნავარძიელი**

თ. გარსევანიშვილი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

# ვიტამინები ბავშვის ჯანმრთელობის საწინდარია

„ვიტამინი“ უცხო სიტყვაა და ნიშნავს სიცოცხლისათვის აუცილებელ ამინს (აზოტის შემცველს). გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ყველა ვიტამინი აზოტს არ შეიცავს, მაგრამ ტერმინი „ვიტამინი“ დღესაც ფართოდ იხმარება. ქიმიური შემადგენლობის დაზუსტებასთან ერთად ვიტამინები ლათინური ანბანის მიხედვითაც დააჯგუფეს.

ვიტამინს ორგანიზმი, ძირითადად, საჭმლის მომნელებელი ორგანოების საშუალებით იღებს. ვიტამინები ორგანიზმის 300-მდე პროცესში მონაწილეობენ: ესენია: უჯრედის სუნთქვა, ქსოვილთა ჟანგვა-აღდგენითი პროცესები; ცილის, ცხიმის, ჰორმონებისა და იმუნური სხეულების სინთეზი (წარმოქმნა) და ა. შ.

ორგანიზმის მიერ ვიტამინების მოთხოვნა ასაკის, ჯანმრთელობის, სეზონისა და სხვა პირობების მიხედვით იცვლება. სწრაფი ზრდის პერიოდში ვიტამინების მეტი რაოდენობაა საჭირო, ასევეა ავადმყოფობის, ნერვიული სისტემის დაქანცვის, ერთფეროვანი კვების, ატმოსფეროს გაბინძურებისა და მედიკამენტების მცდარი ხმარების დროსაც.

თუ ორგანიზმი გაღარიბდა (ვიტამინები მოაკლდა), ადამიანს ვიტამინების ნაკლებობა, ანუ ჰიპოვიტამინოზი განუვითარდება. ხოლო, თუ ვიტამინების უკმარისობა გახანგრძლივდა, მაშინ თავს იჩენს უკვე დაავადება — ავიტამინოზი.

ჰიპოვიტამინოზის ნიშნებია: საერთო სისუსტე, ადვილი დაღლა, ოფლიანობა, უმადობა, წონაში დაკლება, უხალისობა, კუნთების სისუსტე. იმის მიხედვით, თუ რომელი ვიტამინი აკლია ორგანიზმს, ჩნდება სხვადასხვა სიმპტომი (ნიშანი).

A ვიტამინის ნაკლებობისას კანი ხდება მშრალი; ბავშვს უჭირს სიბნელეში საგნების გარჩევა, რის გამოც სიბნელის შიში ეწყება.

D ვიტამინის ნაკლებობისას ვითარდება რაქიტი. მართალია, რაქიტის მძიმე ფორმები აღარა გვხვდება, მაგრამ მსუბუქი და წაშლილი ფორმები საკმაოდ ხშირია. ყველასათვის კარგად არის ცნობილი რაქიტის ნიშნები: ოფლიანობა, ნერვიულობა, ძვლების ფორმის შეცვლა. ბავშვი ხშირად ავადდება ფილტვების ან ნაწლავების ანთებით. დაძაბუნებულ, იმუნიტეტდაქვეითებულ ორგანიზმში ინფექცია ფეხს ადვილად იკიდებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, მიკრობები ჩვენი ორგანიზმის ის დაუპატიჟებელი სტუმრები არიან, რომლებიც წასვლაზე თავად აღარ ფიქრობენ.

D ვიტამინს ბავშვი იღებს თევზის ქონისა და კვერცხის გულის საშუალებით, სხვა პროდუქტები კი ვიტამინით ღარიბია. ადამიანის კანი შეიცავს D ვიტამინის წინა საფეხურს... ანუ პროვიტამინს, რაც ერგოსტერინის სახელით არის ცნობილი, ერგოსტერინი ძირითადად თავმოყრილია კანის თმის ძირებში, ცხიმის ჯირკვლებთან ახლოს. მზის სხივების, ე. წ. ულტრასოსანი, ანუ ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენით ერგოსცერინი გადადის Д ვიტამინში. იგი ორგანიზმში ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას — მონაწილეობს გაძვალების პროცესში. შექმნილია აპარატი, რაც ხელოვნურად გამოიმუშავებს ამ სასარგებლო სხივებს. მას ეწოდება „კვარცის“ აპარატი. თბილისის სამედიცინო მაღაზიაში ხშირად იყიდება კვარცის ეს პორტატიული (პატარა) აპარატი. ყოველი ოჯახისათვის სასურველია მისი შეძენა. მას, გარდა იმისა, რომ ერგოსტერინს აქცევს

D ვიტამინად, შეუძლია ბინის დეზინფექციაც. გრიპის გავრცელების პერიოდში ოთახებში კვარცის დასხივებით თავიდან ავიცდენთ გრიპით დაავადებას.

რაც შეეხება ბუნებრივ ულტრასოსან სხივებს, თანამედროვე დიდი ქალაქის პირობებში, იგი საგრძნობლად შემცირებულია, რადგანაც ატმოსფეროს მტვერი, კვამლი და ნისლი მათ შთანთქავს. დადგენილია, რომ ჩვენს ბინებში მინა ულტრასოსანი სხივების მხოლოდ 17 პროცენტს ატარებს, დანარჩენს კი ატმოსფერო შთანთქავს. უმზეო ბინებში და სარდაფებში ულტრასოსანი სხივები თითქმის ვერ აღწევს. მათი გამოსხივების ინტენსიობა იცვლება სეზონის მიხედვითაც: ასე, მაგალითად, ნაკლებია ზამთარში და მეტია გაზაფხულზე, ისე, რომ მზის ეს სასარგებლო სხივები ჩვენამდე მხოლოდ მინიმალური რაოდენობით აღწევს და იქმნება აუცილებლობა ბავშვები მაქსიმალურად სარგებლობდნენ ულტრასოსანი სხივების დადებითი მოქმედებით. ამისათვის კი აუცილებელია ბავშვების დილის საათებში სუფთა ჰაერზე გაყვანა. ამ დროს ატმოსფეროში შედარებით მეტი რაოდენობით არის ულტრასოსანი სხივები.

საქვეყნოდ ცნობილი C ვიტამინი ანუ ასკორბინის მჟავა დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს.

C ვიტამინის ნაკლებობა იწვევს სურავანდს, ღრძილებიდან სისხლის დენას და კანზე წერტილოვან სისხლის ჩაქცევებს.

C ვიტამინით მდიდარია ასკილი, ლიმონი, მწვანილი და სხვა მცენარეული პროდუქტები. ამ ვიტამინის რაოდენობა მეტია ახალ ხილში, ნაკლებია გამხმარ ხილში და ახალი ხილისაგან მომზადებულ პასტერიზებულ კომპოტებში.

C ვიტამინი მზის სხივების ზეგავლენით ადვილად იშლება.

საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტმა (თ. კეზელი) დაადგინა, რომ მწვანილში არსებული ვიტამინი კერძებში დუღილის დროს არ იშლება. ამიტომ, თავისუფლად შეიძლება კერძებში მწვანილის თავიდანვე, ხარშვის დროს ჩაშვება.

აღმოჩენილია 30-მდე ჯგუფის ვიტამინები. დიდია მათი როლი მოზარდ ორგანიზმისათვის. ამ ჯგუფის ჰიპოვიტამინოზისათვის დამახასიათებელია: კანი — მშრალი, აქერცლილი, არათანაბარი პიგმენტაციით (კანი ტანზე, განსაკუთრებით მუცლის არეში უფრო მუქია, ვიდრე სახეზე); კანზე ჭიანჭველის ცოცვის შეგრძნება, ფეხის გულების წვა და დაბუჟება, თმის გაცვენა, ნაადრევი გაჭაღარავება; თმის ბრწყინვალების დაკარგვა, ფრჩხილების გასქელება, ადვილად ტყდება, ტუჩების კუთხესთან ნახეთქების გაჩენა, გუნება-განწყობის ცვალებადობა. ყურადღების გაფანტვა, ქვემო კიდურების ტკივილი და მოძრაობის შეზღუდვა.

B ჯგუფის ვიტამინებით ძირითადად, მდიდარია ცხოველური საკვები: კვერცხი, ხორცი, თევზი, მცენარეული საკვებიდან კი — ლუდისა და პურის საფუარი, კაკალი, თხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, ნუში, ხახვი, შავი პური, მაყვალი, წაბლი, სოკო, სიმინდი.

B ჯგუფის ვიტამინები რომ არ დაგვაკლდეს, სასურველია სინთეტური (ხელოვნურად მიღებული) ვიტამინების სისტემატური გამოყენება, რომელთა რაოდენობა აფთიაქში ყოველდღიურად იზრდება.

ვიტამინების მიღება კარგია გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ამასთან ერთად მოგცემთ მეგობრულ რჩევას — ვიტამინები მიიღეთ კვების დროს, თანაც რამდენიმე ვიტამინი ერთად, მარტო ერთი ვიტამინის მიღება არ არის სასარგებლო, რადგანაც შესაძლოა მან მეორე ვიტამინის ნაკლებობა გამოიწვიოს.

გირჩევთ მიიღოთ პოლივიტამინი: დეკამევიტი, უნდევიტი, პანჰექსავიტი, აეროვიტი.

## სასარგებლო რჩევები

ღვეზელი დიდხანს არ დაძველდება, თუ მას თიხის ქურჭელში შეინახავთ და ზემოდან ხელსაწმენდს დააფარებთ.

თუ გინდათ პური გაააახლოთ, 5 წუთს გაახვიეთ სველ, გაწურულ ნაჭერში, შემდეგ გახსენით და 20-25 წუთით ცხელ ღუმელში შედეთ.

თუ კვერცხებს მარილიან წყალში მოხარშავთ. არ დასკდება.

გაბზარული კვერცხი მოსახარშად უნდა ჩადოთ მდუღარე, ქაფ-ქაფა, ძალიან მარილიან წყალში, თუ ასე არა, ცილა გარეთ გამოვა.

კვერცხის გული შაქართან კარგად ითქვიფება თბილ ადგილზე. შაქარი უმჯობესია იხმაროთ ძალიან წვრილი ან დაფქული („პუდრა“).

# ახალგაზრდა დიასახლისებისათვის

მაღაზიებში და ბაზრებში ბოსტნეულისა და ხილის სიუხვეა. დიასახლისები შეუდგნენ საზამთროდ პროდუქტების დამზადებას. დაიწყო მურაბების სეზონი. მურაბა ისეთი ნუგბარია, რომელმაც გაუძლო დროის გამოცდას. კომპოტებით გატაცება ცოტათი მინელდა. არც ჩირსა აქვს დიდი პატივი. მურაბა კი კვლავ ყურადღების ცენტრშია. გთავაზობთ მურაბების რეცეპტებს.

## ალუბალი

გადარჩეული ალუბალი თუშფალანგში გარეცხეთ. როცა კარგად დაიწრიტება, დაყარეთ მურაბის ტაშტზე, მოაყარეთ შაქრის ფხვნილი და 2-3 საათს დატოვეთ. მურაბამ რომ კარგი ფერი შეინარჩუნოს ეცადეთ ცოტ-ცოტა მოხარშოთ (2-3 კგ).

როცა შაქარდაყრილი ალუბალი წვენს შეიყენებს, შედგით ძლიერ ცეცხლზე და მხოლოდ 15-20 წუთი ადუღეთ. ქაფის მორთმევა არ დაგავიწყდეთ. შემდეგ ცხელ-ცხელ, წინასწარ დამდუღრულ, მშრალ ქილებში ჩაასხით და კონსერვული წესით (სტერილიზაცია აღარ სჭირდება) დახუფეთ.

შაქრისა და ალუბლის შეფარდება, ერთი 1 კგ. შაქრის ფხვნილი: — 1 კგ ალუბალი. წყალი საჭირო არ არის.

## დაჩურჩული ალუბალი

მწიფე, სალი ალუბალი დაჩურჩეთ (კურკები დააცალეთ), დააყარეთ შაქრის ფხვნილი, როცა წვენს შეიყენებს, მოხარშეთ. მოხარშვის წესი ისეთივეა, როგორც წინა რეცეპტში იყო მოცემული.

## თეთრი ბალი

გარეცხილი, დაწრეტილი თეთრი ბალი დაჩურჩეთ, დაასხით ცხელი შაქრის სიროფი, გააჩერეთ 1-2 საათს, შემდეგ შედგით გაზ-ქურაზე და საშუალო ცეცხლზე მოხარშეთ.

სიროფი ასე უნდა დამზადდეს: რამდენი კილოგრამი ბალიც გაქვთ, იმავე რაოდენობის შაქარს დაასხით წყალი (ერთ კგ-ზე 1/2 ჩაის ჭიქა). ადუღეთ 10-15 წუთს.

იმის დასადგენად, მზად არის თუ არა მურაბა, ლამბაქზე სიროფი უნდა შეაგრილოთ, შემდეგ ცივ წყლიან ჭიქაში ერთიორი წვეთი ჩააგდოთ. წვეთი თუ უცბად ჩავარდა წყალში და არ გაიშალა, მურაბა მზად არის. ბოლოს უყავით ვანილი.

რაც შეეხება შენახვას, შეგიძლიათ ისევე მოიქცეთ, როგორც ეს ალუბლის მურაბაზე იყო ნაჩვენები. თუ არა და გააგრილეთ, ჩაასხით სუფთა ქილებში და თავი ცელოფანის ქაღალდით მოუკარით.

## თეთრი ბალი ლიმონით

ლიმონთან ერთად მოხარშულ ბლის მურაბას სასიამოვნო, მომჟავო გემო აქვს, სიროფი კი გამჭვირვალე და კრიალა გამოდის.

მზადდება ისევე ერთ კგ. ბალზე საკმარისია ერთი ცალი ლიმონი როგორც ჩვეულებრივი თეთრი ბლის მურაბა. ოღონდ ემატება გაფცქვნილი და რგოლებად დაჭრილი ლიმონი. ნაჭრები აღარ ამოიღოთ, შიგვე ჩატოვეთ, რადგან ძალიან სასიამოვნო საჭმელი გახლავთ.

## ატამი

აიღეთ საშუალო ზომის გაუფცქვნელი, მაგარი ატამი. გარეცხეთ, კარგად დაჩხვლიტეთ ჩანგლით.

მოხარშეთ შაქრის სიროფი. შეაგრილეთ და შემდეგ ჩაყარეთ გამზადებული ატამი. ადუღეთ ნელ ცეცხლზე, სანამ ატამი გამჭვირვალე ოქროსფერი არ გახდება.

ოთხ კილოგრამ ატამს დასჭირდება ოთხი კილოგრამი შაქრის ფხვნილი და ხუთი ჩაის ჭიქა წყალი.

გარეკანის პირველ გვერდზე — თერჯოლელი მეჩაიე ლამარა აბულაძე; მეოთხეზე — გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი. ავტორი მოქანდაკე ჯ. მიქატაძე. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბ უ კ ი ა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №,№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4/VI-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VII-80 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{3}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.2 ტირაჟი 134.100. შეკვ. 1602. უე 00692. ფასი 30 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მოდელების ავტორი, მხატვარი-მოდელიორი ნანა ცქვიტაია.

1. კოტონის ქსოვილის სარაფანი — კომბინირებულია; ზედა ნაწილი და ქვედა კაბის მარმაში ერთი ფერისაა.

2. ჩითის ქსოვილის წელში გადაჭრილი კაბა — ზედა ნაწილი კოკეტითაა. ქვედა კაბა ირიბად აჭრილი და ნაოჭაყრილია; კაბას ამშვენებს ვიწრო მარმაში, გვერდს ნაკერებში ჩაყოლებულია ჯიბეები.

3. ჩითის ქსოვილის წელში გადაჭრილი საზაფხულო სარაფანი პლაჟისთვის, — ბრეტელები, ჩადგმული ქამარი და ზეიკები კონტრასტული ფერისა. ქვედა კაბა ირიბად აჭრილია.

4. სწორი სილუეტის საზაფხულო კომპლექტი — შემოსაცმელი და სარაფანის ზედა ნაწილი დამშვენებულია ვიწრო მარმაშით. ქვედა კაბა სწორია, გვერდზე შესაკრავით.

5. კოტონის ქსოვილის წელში გადაჭრილი სარაფანი — ვიწრო ბრეტელებით. ქვედა კაბა ირიბადაა აჭრილი; სარაფანს ამშვენებს განიერი მარმაში.

6.51/111



ინდექსი 76178